



## ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების მართვის ჩარჩოლოკუმენტი

ინკლუზიურობის, ინოვაციის და ხარისხის პროექტი

## 1. შესავალი

ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების მართვის წინამდებარე ჩარჩო დოკუმენტი (ESMF) საქართველოს მგფ-ის და საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ოპერაციული სახელმძღვანელოს განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს, რომელიც მსოფლიო ბანკის მიერ დაფინანსებული ინკლუზიურობის, ინოვაციის და ხარისხის პროექტის (შემდგომში - პროექტი) განხორციელების მიზნით მომზადდა. ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების მართვის ჩარჩო დოკუმენტი განსაზღვრავს გარემოსა და სოციალური მართვის მთელ რიგ აუცილებელ ღონისძიებებს, რომელთა განხორციელება საჭიროა პროექტის ფარგლებში სკოლის შენობა-ნაგებობების დაგეგმვის, დაპროექტების, მშენებლობისა და ფუნქციონირებისთვის, ეროვნულ კანონმდებლობასთან და მსოფლიო ბანკის უსაფრთხოების პოლიტიკასთან მათი შესაბამისობის უზრუნველსაყოფად.

ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების მართვის ჩარჩო დოკუმენტი უზრუნველყოფს ზოგად პოლიტიკას, სახელმძღვანელო მითითებებს, პრაქტიკის ნორმებს და პროცედურებს, რომლებიც პროექტის განხორციელებაში უნდა ინტეგრირდეს. მასში დეტალურად არის გაწერილი პროექტის ფარგლებში ცალკეული ქვეპროექტებისთვის გარემოს სკრინინგის, მათი კლასიფიცირების, შეფასების, დამტკიცებისა და მონიტორინგის ინსტრუქციები. ეკოლოგიურ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების მართვის ჩარჩო დოკუმენტი ასევე მიმოიხილავს საქართველოს გარემოსდაცვით და სოციალურ პოლიტიკას და საკანონმდებლო ბაზას, ასევე მსოფლიო ბანკის უსაფრთხოების პოლიტიკას; იგი შეიცავს გარემოსა და სოციალური რისკების მართვასთან დაკავშირებული ინსტიტუციურ და შესაძლებლობების შეფასებას; აღწერს განსაზღვრული ობიექტისთვის გარემოზე მავნე ზემოქმედების შემცირების ღონისძიებების შემუშავებისას შესასრულებელ პრინციპებს, ამოცანებსა და მიდგომებს.

## 2. პროექტის კონტექსტი

2004 წლიდან საქართველოს მთავრობა განათლების სისტემაში რადიკალურ რეფორმებს ახორციელებს მისი მოდერნიზაციის მიზნით. 2018 წელს საქართველომ განაახლა განათლების რეფორმის დღის წესრიგი 2018-2023 წლებისთვის. დოკუმენტი ხუთ ძირითად სტრატეგიულ მიზანს განსაზღვრავს: (i) სკოლამდელი განათლების ხელმისაწვდომობის გაზრდა ყველასთვის და ბავშვების მომზადება სკოლისთვის; (ii) ხარისხიანი ზოგადი განათლების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა მომავალი სამსახურისთვის მოსწავლეების მოსამზადებლად და ეროვნული და საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით მათი საგანმანათლებლო კომპეტენციების გაზრდა; (iii) პროფესიულ განათლებაში სტუდენტების მონაწილეობის გაზრდა, მათი კონკურენტუნარიანობის გაუმჯობესება პროფესიული და სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი უნარ-ჩვევებით მათი უზრუნველყოფის საშუალებით, ქვეყნის

სოციალური და ეკონომიკური განვითარების მხარდაჭერის მიზნით; (iv) უმაღლესი განათლების სისტემის ინტერნაციონალიზაცია და ხარისხიანი განათლების უზრუნველყოფა ცალკეული პირების უფრო აქტიური განვითარებისა და მათი დასაქმების შესაძლებლობების გაზრდის მიზნით; (v) მეცნიერების, ტექნოლოგიებისა და ინოვაციების სისტემის მოდერნიზაცია და ინტერნაციონალიზაცია ახალი ცოდნის გენერირებისა და ქვეყნის მდგრადი განვითარების ხელშეწყობის მიზნით. განათლების სფეროში მიმდინარე რეფორმის მხარდასაჭერად და არსებული გამოწვევების დასაძლევად, საქართველოს მთავრობამ მსოფლიო ბანკთან პარტნიორობით შეიმუშავა პროექტი, რომელიც რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკის მიერ გამოყოფილი სესხის თანხებით 2019-2026 წლებში განხორციელდება.

### **3. პროექტის შემუშავების მიზანი, მოსალოდნელი შედეგები და განხორციელების გეგმა**

#### **A. პროექტის შემუშავების მიზანი**

პროექტის შემუშავების მიზანია სწავლის ახალი საფუძვლისა და კულტურის შექმნა საქართველოში ადამიანური კაპიტალის განვითარების მიზნით შემდეგი ღონისძიებების საშუალებით: (i) სკოლამდელი განათლების ხელმისაწვდომობის გაზრდა; (ii) ზოგადი განათლების სისტემაში ხარისხისა და მოსწავლე-ორიენტირებული სწავლების გაუმჯობესება სკოლის ერთიანი მიდგომის საშუალებით; (iv) სწავლის კულტურის შეცვლა ყველა დონეზე.

#### **B. შედეგის მაჩვენებლები მოიცავს:**

- სკოლისთვის მოსამზადებელ პროგრამებში მონაწილე 5-6 წლის ბავშვების პროცენტული მაჩვენებელი, მათ შორის 5-6 წლის გოგონების პროცენტული მაჩვენებელი;
- პროექტში მონაწილე იმ სკოლების პროცენტული მაჩვენებელი, რომლებმაც სკოლის გაუმჯობესების მთლიანი გეგმები შეასრულეს;
- პროექტში მონაწილე ზოგადი განათლების სისტემის იმ სკოლების რაოდენობა, რომლებმაც სწავლის შედეგები გააუმჯობესეს;
- ინოვაციის კლუბებსა და STEM (მეცნიერება, ტექნოლოგიები, ინჟინერია და მათემატიკა) სისტემის პროგრამაში მონაწილე მდებარეობითი სქესის მოსწავლეთა პროცენტული მაჩვენებელი ზოგადი განათლების სისტემაში;
- უმაღლესი განათლების სფეროში კონკურენტული ინოვაციების ფონდიდან გაცემული იმ გრანტების პროცენტული მაჩვენებელი, რომლის ფარგლებში დასახული ამოცანების მინიმუმ 80 პროცენტი იქნა მიღწეული;

- საქართველოს მთავრობის მიერ მომზადებული კომუნიკაციისა და რეფორმის სტრატეგია (რომელიც ასევე მოიცავს გოგონების განათლების დადებით მხარეებს), განათლების სისტემის შიგნით და გარეთ სწავლის კულტურის შეცვლის მიზნით.

### C. პროექტის განხორციელების გეგმა

პროექტი ქვემოთ მითითებული ხუთი კომპონენტისგან შედგება. მათი მოკლე მიმოხილვა მოცემულია ქვემოთ. ყურადღება გამახვილებულია სამოქალაქო ობიექტების მშენებლობასა და პროექტის მართვის მხარდაჭერაზე.

#### **კომპონენტი 1 – სკოლამდელი აღზრდისა და განათლების ხარისხისა და ხელმისაწვდომობის გაზრდა (16,890,000 აშშ დოლარის ეკვივალენტი)**

ამ კომპონენტის ამოცანა შერჩეულ სკოლებში ხარისხიანი სკოლამდელი განათლების ხელმისაწვდომობის გაზრდის ხელშეწყობაა.

##### *ქვეკომპონენტი 1.1 – სკოლამდელ განათლებაზე თანაბარი ხელმისაწვდომობის გაზრდა*

სხვა ინვესტიციებთან ერთად, ეს მოიცავს შერჩეულ სკოლებში საკლასო ოთახების რეაბილიტაციას (რომლის მწვავე საჭიროება არსებობს), სკოლამდელი აღზრდის უზრუნველსაყოფად.

##### *ქვე-კომპონენტი 1.2 – ქვეყნის მასშტაბით სკოლამდელი საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხის გაუმჯობესება და სტანდარტიზაცია*

#### **კომპონენტი 2 – ზოგადი განათლების სისტემაში ხარისხიანი სწავლებისა და სწავლის წახალისება (65,750,000 აშშ დოლარის ეკვივალენტი)**

ამ კომპონენტის ამოცანაა ისეთი სასწავლო გარემოს შექმნა, რომელიც ხელს შეუწყობს ხარისხიანი განათლების მიღებას ზოგადი განათლების სისტემის შერჩეულ სკოლებში.

##### *ქვე-კომპონენტი 2.1 – დიაგნოსტიკის გაძლიერება რეფორმის პროექტის შესამუშავებლად და სამართავად ინფორმაციის მოპოვების მიზნით*

##### *ქვე-კომპონენტი 2.2 – მასწავლებლებისა და სკოლის ხელმძღვანელების შესაძლებლობების გაძლიერების მხარდაჭერა, სკოლაზე დაფუძნებული პროგრამის ადაფტაციის, შემუშავებისა და განხორციელების მიზნით*

##### *ქვეკომპონენტი 2.3 – შეფასების ეროვნული მოდელის შემუშავების ხელშეწყობა*

##### *ქვეკომპონენტი 2.4 – საგანმანათლებლო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება მაღალი ხარისხის სასწავლო გარემოს შექმნის ხელშეწყობის მიზნით*

აღნიშნული ქვე-კომპონენტის ფარგლებში ყურადღება გამახვილდება ზოგადი განათლების სისტემის შერჩეული სკოლების ნაწილობრივ ან სრულ რეაბილიტაციაზე.

**კომპონენტი 3 – უმაღლესი განათლების დაფინანსების ვარიანტებისა და აკრედიტაციის გაუმჯობესება (11,560,000 აშშ დოლარის ეკვივალენტი)**  
აღნიშნული კომპონენტის ამოცანაა უმაღლესი განათლების ხარისხისა და საერთაშორისო მასშტაბით კონკურენტულობის გაუმჯობესება.

**ქვე-კომპონენტი 3.1 – უმაღლესი განათლების სფეროში შედეგებზე დაფუძნებული დაფინანსების ახალი ვარიანტების შემუშავება აკრედიტაციისა და ხარისხის უზრუნველყოფის ნორმების გათვალისწინებით**

**ქვე-კომპონენტი 3.2 – უმაღლესი განათლების ინტერნაციონალიზაციის მიზნით პოლიტიკის შემუშავების ხელშეწყობა და შესაძლებლობების გაუმჯობესება**

**კომპონენტი 4 – სწავლასა და სწავლებაში ხარისხისა და ინოვაციის მიმართ ქვევის ცვლილების სტიმულირება (2,800,000 აშშ დოლარის ეკვივალენტი)**  
აღნიშნული კომპონენტის ამოცანაა ხელი შეუწყოს სწავლის კულტურის ცვლილებას, იმისათვის, რომ იგი უფრო პროაქტიური, ინოვაციური და მტკიცებულებებზე დაფუძნებული გახდეს.

**ქვეკომპონენტი 4.1 – პოლიტიკის შემუშავების პროცესის გაძლიერება მონაცემებზე დაფუძნებული გადაწყვეტილებების მისაღებად**

**ქვეკომპონენტი 4.2 – კომუნიკაციის სტრატეგიის მხარდაჭერა ხარისხიანი სწავლის მიმართ ქვევის პოზიტიურად შეცვლის მიზნით**

**ქვეკომპონენტი 4.3 – კარგი იდეების ფონდის შექმნის და კოორდინაციის მხარდაჭერა**

**კომპონენტი 5 – პროექტის მართვის, მონიტორინგის და შეფასების მხარდაჭერა (3 მილიონი აშშ დოლარის ეკვივალენტი)**  
აღნიშნული კომპონენტის ამოცანაა პროექტის ყოველდღიური მართვისა და მონიტორინგის მხარდაჭერა განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროში პროექტის მართვის განყოფილების შექმნისა და მხარდაჭერის საშუალებით, ასევე საქართველოს მგფ-ის შესაძლებლობების გაძლიერება და პროექტის საოპერაციო ხარჯების დაფარვა. პროექტის მართვის განყოფილება პროექტის ფარგლებში მართავს ტექნიკური დახმარების და საქონლის მიწოდებას, მგფი კი პასუხისმგებელი იქნება სამუშაოების უზრუნველყოფასა და პროექტის ყველა კომპონენტის ფარგლებში მსოფლიო ბანკის უსაფრთხოების პოლიტიკის გამოყენების მართვაზე პროექტის განხორციელების დროს. აღნიშნული კომპონენტის ფარგლებში დაფინანსდება პროექტის მართვის განყოფილებისა და მგფ-ის პერსონალის ხელფასები, სასწავლო კურსები და საოპერაციო ხარჯები; უზრუნველყოფილი იქნება მიზნობრივი ტექნიკური დახმარება ბანკის შესყიდვების პროცესებთან დაკავშირებით. აღნიშნული კომპონენტის ფარგლებში მოხდება პროექტის აქტივობების შეფასება და მონიტორინგი.

**D. პროექტის ღირებულება**

პროექტის განსახორციელებლად საქართველოს მთავრობამ მსოფლიო ბანკისგან 100 მილიონი აშშ დოლარის დაფინანსება მოითხოვა. საქართველოს განათლების, მეცნიერების კულტურისა და სპორტის სამინისტრო და მგფ-ი, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს დაქვემდებარებაში, პროექტის განმახორციელებელი ორგანიზაციები არიან.

#### **4. ინსტიტუციური და სამართლებრივი ბაზა**

##### **4.1 ინსტიტუციური ბაზა**

ამ განყოფილებაში მოცემულია ზოგადი ინფორმაცია პროექტის განხორციელების შესახებ და სახელმძღვანელო პრინციპები პროექტის განმახორციელებლებისთვის და პარტნიორებისთვის.

##### **განათლების, მეცნიერების, კულტურის და სპორტის სამინისტრო**

განათლების, მეცნიერების, კულტურის და სპორტის სამინისტრო (შემდგომში - განათლების სამინისტრო) პროექტის განმახორციელებელი ერთ-ერთი უწყებაა. იგი უზრუნველყოფს პოლიტიკის ზოგად ხელმძღვანელობას და ხარისხის კონტროლს პროექტის განხორციელების მიზნით; აქვს კომუნიკაცია უცხოელ პარტნიორებთან.

##### **განათლების, მეცნიერების, კულტურის და სპორტის სამინისტროს დაქვემდებარებული პროექტის მართვის განყოფილება**

პროექტის მართვის განყოფილება, რომელიც განათლების სამინისტროს ბაზაზე შეიქმნა, უზრუნველყოფს ტექნიკური დახმარების ყოველდღიურ მართვას პროექტის სხვადასხვა კომპონენტის ფარგლებში და საქონლის მიწოდებას პროექტის შესყიდვების გეგმის შესაბამისად. პროექტის მართვის განყოფილება პასუხს აგებს პროექტის აქტივობების დაგეგმვაზე და მათთან დაკავშირებულ ნებისმიერ ზემოქედებისა და შეფერხებების აღმოფხვრაზე, როგორც განათლების სამინისტრო უფლებამოსილი ორგანო, მათ შორის შემდეგი აქტივობების განხორციელებაზე, თუმცა არა მხოლოდ:

- სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების და სკოლის ხელმძღვანელობასთან კომუნიკაცია დაგეგმილ სარეაბილიტაციო და/ან სამშენებლო სამუშაოებთან დაკავშირებით;
- დროებითი განთავსების ადგილის მოძებნა რეაბილიტაციის დროს სასწავლო პროცესის გასაგრძელებლად, საჭიროების შესაბამისად;
- მასწავლებლებისა და მოსწავლეების ტრანსპორტირების ორგანიზება, საჭიროების შესაბამისად [ადგილობრივი ხელისუფლების საშუალებით];
- მასწავლებლების და სკოლის სხვა თანამშრომლებისთვის სახელშეკრულებო ვალდებულებების შესრულების უზრუნველყოფა, მათ შორის ხელფასების უწყვეტი გაცემა, მიუხედავად პროექტის განხორციელების დროს შესაძლო შეფერხებებისა;
- სკოლის ფუნქციებთან დაკავშირებული სახელშეკრულებო ვალდებულებების შესრულების უზრუნველყოფა, მაგალითად, კვების, სატრანსპორტო ან არასაპროგრამო მომსახურების პროვაიდერები;

- ახალი მშენებლობის ან სკოლის შენობა-ნაგებობების გაფართოების შემთხვევაში იმის უზრუნველყოფა, რომ მშენებლობისთვის საჭირო მიწის ნაკვეთი ხელმისაწვდომია, არ არის კერძო სარგებლობაში (როგორც ოფიციალურად, ისე არაოფიციალურად) და რომ მასზე არავინ არ აცხადებს პრეტენზიას ან არ მიმდინარეობს დავა საკუთრების შესახებ, არის განათლების სამინისტროს მფლობელობაში და გამოყოფილია პროექტის მიზნებისთვის;
- სამშენებლო და სარეაბილიტაციო სამუშაოების დეტალური პროექტის ტექნიკური დავალების განხილვა და დამტკიცება; იმის უზრუნველყოფა, რომ ტექნიკური დავალებები შემოწმდა განათლების სამინისტროს ყველა შესაბამისი დაპარტამენტის მიერ;
- საჩივრების განხილვის საკონტაქტო პირის დანიშვნა, მგფ-ის საჩივრების საკითხზე საკონტაქტო პირთან ერთად; პროექტის მართვის განყოფილების საკონტაქტო ინფორმაციის თვალსაჩინო ადგილზე გამოფენა პროექტის ობიექტზე, ყველა საჩივრის დროულად აღრიცხვა და მოგვარება (მიღვიდან ორი კვირის განმავლობაში); პროექტის მართვის განყოფილებაში საჩივრების განხილვის ჟურნალის წარმოების უზრუნველყოფა.

### **მგფი, რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს დაქვემდებარებული სტრუქტურა**

მგფი (მგფ) პროექტის განმახორციელებელი ერთ-ერთი უწყებაა. იგი პასუხს აგებს პროექტის ფარგლებში განსახორციელებელ სამშენებლო სამუშაოების ყველა ასპექტზე, მათ შორის ეკოლოგიურ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების მართვის ჩარჩო დოკუმენტის და საქართველოს ეროვნული კანონმდებლობის შესრულებაზე. მგფი ასევე განახორციელებს კარგი იდეების ფონდის დაფინანსებაზე საგრანტო განაცხადების ეკოლოგიურ და სოციალურ სკრინინგს და საჭიროებისამებრ უზრუნველყოფს ფონდის მიერ დაფინანსებული სამქმედებების ეკოლოგიურ და სოციალურ ზედამხედველობას. თუ მიჩნეული იქნება საჭიროდ პროექტის განსახორციელებელი მიზნებისთვის, მგფ-ი პასუხისმგებელი იქნება ნებისმიერი სახის არანებაყოფლობითი განსახლებაზე პროექტთან დაკავშირებით, იმოქმედოს განსახლების პოლიტიკის ჩარჩო დოკუმენტის მიხედვით.

პროექტის ფარგლებში მგფ ეკოლოგიურ და სოციალურ მართვას გარემოსდაცვითი და განსახლების განყოფილების საშუალებით განახორციელებს. ეს განყოფილება შედგება განყოფილების უფროსის, გარემოს დაცვის, განსახლების, სოციალური საკითხების, გენდერის საკითხების და უსაფრთხოების სპეციალისტებისგან.

**ეკოლოგიური და სოციალური უსაფრთხოების განყოფილების უფროსს შემდეგი მოვალეობები აკისრია:**

- გარემოსდაცვითი პოლიტიკისა და პრაქტიკის განხორციელების ხელმძღვანელობა;
- მსოფლიო ბანკის გარემოსდაცვით პოლიტიკასთან და გარემოს დაცვის ეროვნულ კანონმდებლობასთან შესაბამისობის უზრუნველყოფა;
- გარემოსდაცვითი და სოციალური უსაფრთხოების სკრინინგის ანგარიშების ხარისხისა და ადეკვატურობის კონტროლი და იმის უზრუნველყოფა, რომ

ქვეპროექტი არ იქნას შემდგომი დამუშავებისთვის მიღებული, თუ ის A ეკოლოგიურ კატეგორიაში ხვდება და/ან თუ მას შეიძლება ჰქონდეს უარყოფითი გავლენა საერთაშორისო წყლის გზების ხარისხსა ან რაოდენობაზე, ან შესაძლოა მასზე უარყოფითად იმოქმედოს სანაპიროს სხვა ქვეყნების მიერ წყლის შესაძლო გამოყენებამ;

- განიხილოს და უზრუნველყოს მგფ-ს თანამშრომლებისა და კონსულტანტების მიერ მომზადებული ქვეპროექტების შეფასების ანგარიშების (SARs), ეკოლოგიური და სოციალური მიმოხილვის ანგარიშების (ESR), ეკოლოგიურ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების მართვის გეგმების და განსახლების სამოქმედო გეგმების (RAPs) ხარისხი;
- განყოფილების თანამშრომლების ჩართვა მგფ-ის ყველა ოპერაციაში, რომლის განსახორციელებლად საჭიროა უსაფრთხოების პოლიტიკის გამოყენებასთან დაკავშირებული ინფორმაციის მიღება;
- მგფ-ის მიერ გაწეული საქმიანობის შედეგად მიღებული ეკოლოგიური შედეგების შეფასება და, ეკოლოგიური და სოციალური უსაფრთხოების პოლიტიკის გამოყენების შესახებ შიდა და გარე კლიენტებთან და მარეგულირებელ ორგანოებთან ხარისხიანი ანგარიშგების უზრუნველყოფა;
- მგფ-ის ხელმძღვანელობის გაფრთხილება მომსახურების მომწოდებლების მიერ მიღებული უსაფრთხოების ზომების მონიტორინგის შედეგად გამოვლენილი მნიშვნელოვანი პრობლემების შესახებ და მათი გადაჭრის გზებზე რეკომენდაციების მომზადება;
- გარემოსდაცვითი და სოციალური უსაფრთხოების დოკუმენტების გასაჯაროება ეკოლოგიურ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების მართვის ჩარჩო დოკუმენტში (ESMF) მოცემული სახელმძღვანელო პრინციპების და განსახლების პოლიტიკის ჩარჩო დოკუმენტის (RPF) შესაბამისად; კონსულტაციების კოორდინაცია დაინტერესებულ მხარეებთან გარემოსდაცვითი და სოციალური უსაფრთხოების მიმოხილვაზე, ეკოლოგიურ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების მართვის გეგმებზე (ESMPs), განსახლების სამოქმედო გეგმებზე, და მგფ-ის საქმიანობის ნებისმიერ ეკოლოგიურ და სოციალურ ასპექტზე, რომელიც შესაძლოა საინტერესო იყოს ზემოქმედების ქვეშ მყოფი პირებისთვის; გადაწყვეტილების მიღება საზოგადოებისგან მიღებული კომენტარების უსაფრთხოების დოკუმენტებში ასახვის შესახებ;
- საჩივრების განხილვის მექანიზმის (GRS) ფუნქციონირების ზედამხედველობა და მისი ეფექტიანობის უზრუნველყოფა.

**გარემოს დაცვის სპეციალისტები** სრულად არიან ჩართული მგფ-ის მიერ წამოწყებულ საინვესტიციო ინფრასტრუქტურული პროექტების მომზადების, განხორციელებისა და მონიტორინგის პროცესში და ასრულებელ შემდეგ მოვალეობებს:

- შემოთავაზებული პროექტების ეკოლოგიური სკრინინგი და კლასიფიკაცია; განსაზღვრა რამდენად აკმაყოფილებენ დაფინანსების კრიტერიუმებს გარემოსდაცვითი და სოციალური უსაფრთხოების თვალსაზრისით;
- ეკოლოგიურ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების მართვის გეგმების მომზადება და ეკოლოგიური და სოციალური უსაფრთხოების



განყოფილების უფროსისთვის წარდგენა განსახილველად და მსოფლიო ბანკისთვის წარსადგენად;

- უსაფრთხოების პოლიტიკასთან დაკავშირებული ანგარიშების მომზადება ქვეპროექტების შეფასების ანგარიშები შეტანის მიზნით;
- ეკოლოგიურ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების მართვის გეგმების პროექტის მომზადება გამოსაქვეყნებლად და განსახლების სპეციალისტთან თანამშრომლობით საჯარო განცხადებების მომზადება დაინტერესებული მხარეებთან საკონსულტაციო შეხვედრების გამართვაზე;
- ეკოლოგიურ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების მართვის გეგმების შესახებ დაინტერესებული მხარეების საკონსულტაციო შეხვედრებში მონაწილეობის მიღება, საკონსულტაციო შეხვედრების ოქმების მომზადება, ფოტოების გადაღება და მონაწილეთა საკონტაქტო ინფორმაციის და ხელმოწერების მოპოვება;
- ქვეპროექტების გატემოსდაცვითი მონიტორინგის განხორციელება და შედეგების დოკუმენტაცია ფოტო დოკუმენტაციის შექმნის საშუალებით;
- ეკოლოგიური და სოციალური უსაფრთხოების განყოფილების უფროსის წინაშე ანგარიშგება, მათ შორის ეკოლოგიური შედეგების ანალიზის წარდგენა, შესრულებული სამუშაოების შესახებ ანგარიშში ზოგად პროგრესზე ინფორმაციის შეტანის მიზნით.

**ბენეფიციარებთან ურთიერთობა / საჩივრების განხილვის სპეციალისტი** მონაწილეობას იღებს თითოეულ ქვე პროექტთან დაკავშირებულ კონსულტაციების პროცესში. ეს პირი წარმოადგენს საჩივრების განხილვის საკითხებზე მთავარ საკონტაქტო პირს მგფ-ის მხრიდან და შემდეგ მოვალეობებს ასრულებს:

- უზრუნველყოფს საჩივრების შესახებ როგორც მგფ-ის, ისე პროექტის მართვის განყოფილების საკონტაქტო ინფორმაციას ყველა ქვეპროექტის ობიექტზე; უზრუნველყოფს ამ ინფორმაციის ადვილად ხელმისაწვდომობას ადგილობრივი მოქალაქეებისთვის და პროექტის ზემოქმედების ქვეშ მყოფი პირებისთვის;
- უზრუნველყოფს საჩივრების განხილვის მექანიზმის და დაკავშირებული ფუნქციებისა და მოვალეობების შესახებ ადგილობრივი ხელისუფლების ინფორმირებას;
- უზრუნველყოფს მგფ-ისა და/ან პროექტის მართვის განყოფილების მიერ მიღებული საჩივრების აღრიცხვას, მოგვარებას ან შესაბამის ორგანოებში გადამისამართებას და მოგვარებას;
- საჩივრების განხილვის ჟურნალის წარმოება.

**გენდერის საკითხების სპეციალისტი** მონაწილეობას იღებს მგფ-ის მიერ განხორციელებული ყველა საინვესტიციო პროექტის მომზადებაში, განხორციელება და მონიტორინგში და შემდეგი მოვალეობები აკისრია:

- ყველა კვლევის განხორციელების, დემოგრაფიული, ფიზიკური, ეკონომიკური და ფინანსურის მონაცემების შეგროვებისა და ანალიზის დროს გენდერული საკითხების მიმართ სათანადო ყურადღების მიქცევის უზრუნველყოფა, ამ ამოცანის შესრულების მიზნით;

- მგფ-ის საქმიანობის ყველა მნიშვნელოვან ასპექტზე გენდერულად დანაწევრებული ანალიზის უზრუნველყოფა;
- მამაკაცებისა და ქალების მონაწილეობაზე ანგარიშგება და მათთვის რეკომენდაციების გაწევა ქვეპროექტების დაგეგმვისა და განხორციელების ეტაპებში მონაწილეობის შესაძლებლობებზე.

### სამუშაოების ტექნიკური ზედამხედველობა

მგფ დაიქირავებს კონტრაქტორს რათა ზედამხედველობა გაუწიოს სამშენებლო სამუშაოებს. ზედამხედველი ვალდებულია მოიცავს, მაგრამ არ შემოიფარგლება

- პროექტის მოქმედი ქვეპროექტის ფარგლებში უზრუნველყოფს სავლე ეკოლოგიურ და სოციალურ მონიტორინგს;
- ავსებს სავლე ეკოლოგიური და სოციალური მონიტორინგის აქტივობების საკონტროლო ნუსხას და ქმნის ფოტოდოკუმენტაციას;
- სასწრაფოდ აცნობებს დამსაქმებელს ეკოლოგიური და სოციალური მართვის გეგმასთან მნიშვნელოვანი შეუსაბამობის შესახებ და სთავაზობს პრობლემის გადაჭრის გზებს;
- ამზადებს ყოველთვიურ ანგარიშებს მომსახურების მომწოდებლების ეკოლოგიურ შედეგებზე, რომელშიც მოცემულია არსებული პრობლემების ანალიტიკური აღწერა, მისაღები ზომების შესახებ რეკომენდაციები და ადრე გამოვლენილი შეუსაბამობების აღმოფხვრის მიზნით მიღებული ძალისხმევების შედეგები;
- პროფესიული დიალოგის წარმოება მგფ-ის გარემოს დაცვის სპეციალისტთან და გარემოსდაცვითი და სოციალური უსაფრთხოების განყოფილების უფროსთან ველზე მიღებული ინფორმაციის გაზიარების, არსებული პრობლემების და რეკომენდებული გადაჭრის გზების განხილვის მიზნით; დამქირავებლის ინფორმირება გარემოსდაცვითი და სოციალური მართვის გეგმებით გაუთვალისწინებელ უსაფრთხოებასთან დაკავშირებულ პრობლემებზე, რომლებიც ქვეპროექტის განხორციელებისას იჩენენ თავს.

### სამშენებლო მომსახურების მომწოდებლები

მგფ დაიქირავებს სამშენებლო კონტრაქტორს სამუშაოების საწარმოებლად, რომელიც სრულად აგებს პასუხს ეკოლოგიური და სოციალური მართვის გეგმების ზედმიწევნით შესრულებაზე, რომლებიც თან ერთვის სამუშაო ხელშეკრულებებს და მათთვის სავალდებულო შესასრულებელი იქნება. მომსახურების მომწოდებლის მოვალეობებში შედის ქვეპროექტის ზემოქმედების ქვეშ მყოფ ადგილობრივ მოსახლეობასთან კონტაქტი, რაც მოიცავს, თუმცა არ შემოიფარგლება შემდეგით:

- თანამშრომლებისთვის სამუშაო ობიექტის უსაფრთხოების უზრუნველყოფა და სამუშაო ობიექტზე გარედან წვდომის აღკვეთა საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად და ინციდენტების თავიდან ასაცილებლად;

- სამუშაო ობიექტთან ახლოს სამშენებლო კომპანიის სახელის და საკონტაქტო ინფორმაციის მითითება, რომლის საშუალებით ადგილობრივი მოსახლეობა მიიღებს ინფორმაციას სამუშაოების ხანგრძლივობის და ზოგადი ტიპის შესასრულებელი სამუშაოების შესახებ;
- მოსახლეობის წინასწარ გააფრთხილება ქვეპროექტის ფარგლებში განსახორციელებელი სამუშაოების გამო კომუნალური მომსახურებების შეწყვეტაზე, მათ შორის მომსახურების შეწყვეტის დროსა და ხანგრძლივობაზე;
- მგფ-სთვის ინფორმაციის მიწოდება ადგილობრივი მოსახლეობის მიერ წამოჭრილ საკითხებზე, იმ შემთხვევაში თუ ვერ ხერხდება მათი ადგილზე გადაჭრა მომსახურების მომწოდებლის მიერ.

ასევე, სამშენებლო სამუშაოების მომწოდებელი პასუხს აგებს ობიექტზე ყველა სახის სამუშაოს დაუყოვნებლივ შეწყვეტაზე მოულოდნელი აღმოჩენების შემთხვევაში და ასეთი აღმოჩენის შესახებ დამქირავებლისთვის ინფორმაციის სასწრაფოდ მიწოდებაზე. მომსახურების მომწოდებელს ეკრძალება სამუშაოების გაგრძელება მგფ-ის მხრიდან წერილობით რეაგირებამდე.

### **სხვა ცენტრალური სამთავრობო უწყებები**

**საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო.** საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ეკისრება საერთო პასუხისმგებლობა საქართველოში გარემოს დაცვაზე. სამინისტროს ეკოლოგიური შეფასების დეპარტამენტი განიხილავს გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშებს პროექტის ფარგლებში განსახორციელებელი იმ აქტივობების შესახებ, რომლებისთვისაც შესაძლოა საჭირო გახდეს ეკოლოგიური გადაწყვეტილება საქართველოს გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის მიხედვით და იღებს ასეთ გადაწყვეტილებას დაგეგმილი სამუშაოების შესახებ ტენდერის გამოცხადებამდე. გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო უფლებამოსილია განახორციელოს სამშენებლო სამუშაოების გაცემული გადაწყვეტილების პირობებთან შესაბამისობის კონტროლი.

**ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო** განიხილავს ქვეპროექტების საპროექტო დოკუმენტაციას, რომლისთვისაც შესაძლოა საჭირო გახდეს მშენებლობის ნებართვა და გასცემს ამ ნებართვებს. ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს დაქვემდებრებაში მყოფი **წიაღის ეროვნული სააგენტო** გასცემს ლიცენზიებს სამუშაოების უზრუნველსაყოფად საჭირო ბუნებრივი სამშენებლო მასალების მოსაპოვებლად.

**საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო** განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ქვეშ, უზრუნველყოფს ოფიციალურ დასტურს სამშენებლო ნებართვის გაცემის თაობაზე ქვეპროექტებისთვის, იმ შემთხვევაში თუ მშენებლობა კულტურული მემკვიდრეობის ობიექტზე ან ზონაში უნდა განხორციელდეს. მშენებლობის მომსახურების მომწოდებლის მიერ ქვეპროექტის განხორციელების ობიექტზე მოულოდნელი

აღმოჩენის შემთხვევაში, მგფ ვალდებულია ამის შესახებ სააგენტოს აცნობოს და მიიღოს მისი ინსტრუქციები შემგომი მოქმედების შესახებ. შესაძლოა, რომ მგფ-მ არ გასცეს სამუშაოს გაგრძელების ნებართვა, სააგენტოს თანხმობის მიღებამდე, რომლითაც დასტურდება, რომ არქეოლოგიური მემკვიდრეობის შესანარჩუნებლად ყველა სასწრაფო ზომა იქნა მიღებული.

## 4.2 მარეგულირებელი კანონმდებლობა

### ეროვნული გარემოსდაცვითი კანონმდებლობა

პროექტი უნდა განხორციელდეს ეროვნული კანონმდებლობის სრული დაცვით, მათ შორის, იმ კანონების, რეგულაციების და სტანდარტების, რომლითაც რეგულირდება ეკოლოგიური მართვის, სოციალური დაცვისა და ქვეყნის კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნების საკითხები. ჯანმრთელობისა და გარემოს დაცვის სამართლებრივი, საკანონმდებლო და ინსტიტუციური ბაზა საქართველოს კონსტიტუციას ეფუძნება, რომელიც უზრუნველყოფს ადამიანის უფლებას ჯანმრთელ გარემოზე და ყველას მოვალეობას, კანონის შესაბამისად დაიცვას და გააძლიეროს გარემო. ჯანმრთელობისა და გარემოს დაცვის მხარდაჭერას ასევე მრავალი სამთავრობო სტრატეგია და საერთაშორისო ხელშეკრულება უზრუნველყოფს.

პროექტი რეგულირდება შემდეგი ეროვნული საკანონმდებლო აქტებით:

- გარემოს დაცვითი კოდექსი (2017)
- ნარჩენების მართვის კოდექსი (2014)
- გარემოს დაცვის შესახებ კანონი (1996);
- ნიადაგის დაცვის შესახებ კანონი (1994);
- წიაღის შესახებ კანონი (1996)
- წყლის დაცვის შესახებ კანონი (1997);
- ატმოსფერული ჰაერის დაცვის შესახებ კანონი (1999);
- კულტურული მემკვიდრეობის შესახებ კანონი (2007).
- ზოგადი განათლების შესახებ კანონი (2006);
- უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონი (2006);
- ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ საქართველოს კანონი (2015);

### ტექნიკური ნორმები, სტანდარტები და რეგულაციები

- ელექტრო ხაზების კოდექსი და საქართველოს სტანდარტები
- საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის No.41 დადგენილება ტექნიკური რეგლამენტის „შენობა-ნაგებობების უსაფრთხოების წესების“ დამტკიცების თაობაზე;
- მთავრობის 2009 წლის 24 მარტის No.57 დადგენილება “მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების“ თაობაზე;

- თბილისის მუნიციპალიტეტის 2016 წლის 24 მაისის No. 14-39 დადგენილება „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების“ დამტკიცების თაობაზე;
- საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 იანვრის №59 ტექნიკური რეგლამენტის – „დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების ძირითადი დებულებების დამტკიცების თაობაზე“ დადგენილება;
- სეისმურად მდგრადი მშენებლობა (01.01-09);
- ცემენტით და ბეტონით მშენებლობა (01.01-08);
- საქართველოს კლიმატის კვლევები (01.05-08);
- წყალმომარაგებისა და კანალიზაციის გარე ქსელები და ნაგებობები (07.01-09);
- საცხოვრებელი და საჯარო შენობების ელექტრონული მოწყობილობების დიზაინის სტანდარტები: СП 31-110-2003
- ბუნებრივი და ხელოვნური განათების სტანდარტები: СП 52-13330-2011 (Natural and artificial lighting standards)
- IEC 60364 – შენობის ელექტრო გაყვანილობა
- ელექტროენერჯის მიმწოდებლის მოთხოვნები: GPC -ელექტროენერჯის მომსახურების წესები და რეგულაციები
- საქართველოს მთავრობის მიერ მიღებული რეგლამენტი Code of Practice for
- IEC 60335 – საყოფაცხოვრებო და მსგავსი ელექტრო ტექნიკის უსაფრთხოება
- სამშენებლო ნორმები და წესები „სეისმო-რეზისტენტული ნაგებობა“ (1 იანვარი, 2019)
- СНИП 2.04.05-86 გათბობისთვის, ვენტილაციისა და გაგრილებისთვის
- СНИП 11-Л.4-62 ნორმები ზოგადი განათლების სკოლების დაპროექტებისთვის
- ევროკავშირის სტანდარტი EN 12828 (EU Standard EN 12828)
- გათბობისა და კონდიციონირების ინჟინრების ამერიკული საზოგადოების რეკომენდაციები საქართველოს მთავრობის განკარგულება #1-1/251 (18 თებერვალი 2011) საქართველოს ტერიტორიაზე ტექნიკური ზედამხედველობისა და სამშენებლო სფეროში 1992 წლამდე მოქმედი ნორმების, წესების და ტექნიკური რეგულირების სხვა დოკუმენტების გამოყენების შესახებ (ბრძანება 251)
- СНИП II-23-81\*
- СНИП 2.01.07-85
- СНИП 7-81
- СНИП 28-73

საქართველოში გარემოსდაცვითი შეფასების და ნებართვების გაცემის ამჟამად მოქმედი პროცედურა 2017 წელს მიღებული გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსშია გაწერილი. აღნიშნული კოდექსი ითვალისწინებს შემოთავაზებული აქტივობების შემოწმებას (სკრინინგს), იმ შემთხვევაში თუ გარემოსდაცვითი შეფასების საჭიროება არ არის აშკარა და დასადგენია, და ასევე შეფასების პროცესში გასაანალიზებელი გარემოსდაცვითი ასპექტების მასშტაბის განსაზღვრას, იმ შემთხვევაში თუ შემოთავაზებული საქმიანობა შეფასებას ექვემდებარება. კოდექსის I დანართში მოცემულია იმ აქტივობების ნუსხა, რომლებიც შეფასებას ექვემდებარება, II დანართში კი ის აქტივობებია მოცემული, რომლებიც შეიძლება დაექვემდებაროს ან

არ დაექვემდებაროს ეკოლოგიურ შეფასებას, სკრინინგის შედეგების მიხედვით. გარემოსდაცვითი შეფასების ანგარიშს, რომელსაც პროექტის მხარდამჭერი ამაზადებს, განიხილავს გარემოს დაცვის და სოფლის მეურნეობის სამინისტრო და გაცემს ეკოლოგიურ დასკვნას. დადებითი დასკვნა იძლევა შემოთავაზებული საქმიანობის განხორციელების უფლებას, დასკვნაში მოცემული კონკრეტული პირობების დაკმაყოფილების შემთხვევაში (თუ ასეთი არსებობს). გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო ასაჯაროებს სკრინინგის, წინასწარი და გარემოსდაცვითი შეფასების ანგარიშებს და ატარებს საჯარო განხილვებს აღნიშნული დოკუმენტების შესახებ.

## მსოფლიო ბანკის უსაფრთხოების პოლიტიკაპოლიტიკა

რადგან მსოფლიო ბანკი პროექტის მთავარი დამფინანსებელია, იგი მსოფლიო ბანკის ეკოლოგიური და სოციალური დაცვის პოლიტიკის მოთხოვნებს ექვემდებარება. პროექტი B კატეგორიას განეკუთვნება, რაც იმას ნიშნავს, რომ მხოლოდ B და C კატეგორიის საქმიანობა შეიძლება დაფინანსდეს მიღებული თანხით. A კატეგორიის ქვეპროექტები მოთხოვნებს არ აკმაყოფილებს. B კატეგორიის ქვეპროექტები შესაძლოა შედარებით მაღალ ან დაბალ რისკებთან იყოს დაკავშირებული, შესაბამისად, ქვეპროექტების ეკოლოგიური ექსპერტიზის ოპტიმიზაციის მიზნით, მგფი ქვეპროექტებს შემდეგნაირად მონიშნავს - „მაღალი“ B (B+) ან „დაბალი“ B (B-).

მსოფლიო ბანკის პროექტის ფარგლებში ამოქმედებული ეკოლოგიური და სოციალური დაცვის პოლიტიკა:

- 1. OP/BP 4.01 ეკოლოგიური შეფასება.** ბანკი მისთვის დასაფინანსებლად წარდგენილი პროექტების ეკოლოგიურ შეფასებას ითხოვს, რათა დარწმუნდეს, რომ მათ არ აქვთ გარემოზე პოტენციური უარყოფითი ზემოქმედება ან არბილებენ მას. გარემოსდაცვითი შეფასება წარმოადგენს პროცესს, რომლის მასშტაბი, სიღრმე და ანალიზის ტიპი შემოთავაზებული პროექტის გარემოზე პოტენციური ზემოქმედების ბუნებასა და მასშტაბზეა დამოკიდებულია. გარემოზე ზემოქმედების შეფასება აფასებს პროექტის პოტენციურ ეკოლოგიურ რისკებს და ზემოქმედებას მისი გავლენის ზონაში; ამოწმებს პროექტის ალტერნატიულ ვარიანტებს; განსაზღვრავს პროექტის შერჩევის, რეალიზაციის ადგილის არჩევის, დაგეგმვის, სტრუქტურის შედგენისა და შესრულების გზებს გარემოზე უარყოფითი ზეგავლენის აღკვეთის, მინიმუმამდე დაყვანის, შემცირების ან კომპენსირებისა თუ დადებითი ზემოქმედების გაძლიერების გზით; იგი მოიცავს გარემოზე უარყოფითი ზემოქმედების შემცირების და მართვის პროცესს პროექტის განხორციელების განმავლობაში. გარემოსდაცვითი შეფასება ითვალისწინებს ბუნებრივ გარემოს (ჰაერი, წყალი და მიწა); ადამიანის ჯანმრთელობას და უსაფრთხოებას; სოციალურ ასპექტებს; ტრანსსასაზღვრო და გლობალურ ეკოლოგიურ ასპექტებს. მსესხებელი პასუხს აგებს გარემოსდაცვითი შეფასების განხორციელებაზე, ბანკი კი კონსულტაციას უწევს მსესხებელს მსოფლიო ბანკის ეკოლოგიურ შეფასებასთან დაკავშირებულ მოთხოვნებზე.

**2. OP/BP 4.11 ფიზიკური კულტურული რესურსები.** ფიზიკური კულტურული რესურსები განისაზღვრება, როგორც მოძრავი და უძრავი ობიექტები, ადგილები, სტრუქტურები, სტრუქტურათა ჯგუფები, ბუნებრივი თავისებურებანი და ლანდშაფტები, რომელთაც აქვთ არქეოლოგიური, პალეონტოლოგიური, ისტორიული, არქიტექტურული, რელიგიური, ესტეტიური ან სხვა კულტურული მნიშვნელობა. მათი კულტურული მნიშვნელობა შეიძლება იყოს ადგილობრივი, რეგიონული ან ეროვნული დონის, ან აღიარებული იყოს საერთაშორისო თანამეგობრობის მიერ. ფიზიკური კულტურული რესურსები მნიშვნელოვანია, როგორც მეცნიერული და ისტორიული ინფორმაციის ღირებული წყაროები, როგორც ეკონომიკური და სოციალური განვითარების აქტივები და როგორც ხალხის კულტურული იდენტობის და პრაქტიკის განუყოფელი ნაწილები. ბანკი ქვეყნებს ეხმარება მის მიერ დაფინანსებული განვითარების პროექტებით გამოწვეული ფიზიკურ კულტურულ რესურსებზე უარყოფით ზემოქმედების თავიდან აცილებაში და შემცირებაში. მსესხებელი აგვარებს მსოფლიო ბანკისთვის დასაფინანსებლად წარდგენილ პროექტებში ფიზიკურ კულტურულ რესურსებზე ზემოქმედების საკითხს, როგორც გარემოსდაცვითი შეფასების პროცესის განუყოფელ ნაწილს. თუ პროექტს ფიზიკურ კულტურულ რესურსებზე სავარაუდოდ უარყოფითი გავლენა ექნება, მსესხებელი განსაზღვრავს სათანადო ზომებს აღნიშნული ზემოქმედების თავიდან ასაცილებლად ან შესარბილებლად, გარემოსდაცვითი შეფასების პროცესის ფარგლებში. აღნიშნული ზომები შეიძლება მოიცავდეს მთლიანად ობიექტის დაცვას ან შემარბილებელი ზომების შერჩევით მიღებას, მათ შორის გადარჩენას და დოკუმენტირებას, მაშინ, როდესაც ფიზიკური კულტურული რესურსები ან მათ ნაწილი შესაძლოა დაიკარგოს.

**3. OP/BP 4.12 არანებაყოფლობითი განსახლება.** პოლიტიკის მიზანია გადაადგილებული პირების დაეხმარება გაიუმჯობესონ, მინიმუმ აღიდგინონ მაინც ცხოვრების დონე. ეს პოლიტიკა იმ მოსაზრებას ეყრდნობა, რომ განვითარების ძალისხმევამ არ უნდა გამოიწვიოს იმ ადამიანთა გადარიბება, რომლებიც აღნიშნული ძალისხმევის გავლენის ზონაში არიან მოქცეული. თუ ამ ადამიანთა განსახლება გარდაუვალია, ან თუ პროექტის ზემოქმედების ქვეშ მყოფი ადამიანების აქტივები ან შემოსავლის წყაროები იკარგება, საჭიროა შესაბამისი სამოქმედო გეგმის განხორციელება, იმისათვის, რომ როგორც ზემოთ აღინიშნა, მათ მინიმუმ აღიდგინონ მაინც ცხოვრების დონე, აღნიშნული ძალისხმევის მიღებამდე.

პროექტი ასევე სრულად შესაბამეა მსოფლიო ბანკის ინფორმაციის გასაჯაროების პოლიტიკას. იგი მოითხოვს პროექტის განხორციელების მიზნით მომზადებული სოციალური და ეკოლოგიური მართვის დოკუმენტების გასაჯაროებას, პროექტის ზემოქმედების ქვეშ მყოფი მოსახლეობისთვის და სხვა დაინტერესებული მხარეებისთვის მათზე სათანადო ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფას, აღნიშნული დოკუმენტების შესახებ საზოგადოების მხრიდან უკუკავშირის მოთხოვნას და აღნიშნული უკუკავშირის სათანადო გამოყენებას დაპროექტებაში და უსაფრთხოების მართვის გეგმებში.

## საქართველოს კანონმდებლობასა და მსოფლიო ბანკის მოთხოვნებს შორის არსებული განსხვავებები

პროექტისთვის მსოფლიო ბანკის პოლიტიკასა და ეროვნულ ეკოლოგიურ კანონმდებლობას შორის არსებული შემდეგი ცდომილება/განსხვავებებია მნიშვნელოვანი:

- ეკოლოგიური და სოციალურ რისკების შეფასების საფუძველზე, მსოფლიო ბანკის OP 4.01 ოპერაციებს A, B და C კატეგორიებად ყოფს. ოპერაციის ეკოლოგიური კატეგორიის მიხედვით, ასევე გარემოზე და სოციალური (მოსალოდნელი) ზემოქმედების ბუნებისა და მასშტაბის მიხედვით, შესაძლოა საჭირო გახდეს პროექტისთვის ეკოლოგიური და სოციალური მართვის მოდელის მომზადება, გარემოზე ზემოქმედების სრულმასშტაბიანი შეფასების მომზადება, საფრთხეებისა და რისკების შეფასება, ეკოლოგიური აუდიტის ჩატარება ან ეკოლოგიური მართვის გეგმის შემუშავება. საქართველოს გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი მხოლოდ ორი ტიპის საქმიანობას განასხვავებს – საქმიანობა, რომელიც მოითხოვს გარემოზე ზემოქმედების შეფასებას და საქმიანობა, რომელიც არ მოითხოვს გარემოზე ზემოქმედების შეფასებას.
- ეროვნული კანონმდებლობა არ მოითხოვს იმ ოპერაციების სოციალური ასპექტების სრულ მოცვას, რომლებიც გარემოზე ზემოქმედების შეფასებას ექვემდებარებიან. კანონმდებლობის მოთხოვნის თანახმად, საჭიროა მხოლოდ ადგილობრივი მოსახლეობის ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების რისკების ანალიზი.
- ზოგადად, საქართველოს კანონმდებლობა ადეკვატურად ასახავს მსოფლიო ბანკის განსახლების პოლიტიკის ძირითად დებულებებს (WB OP 4.12), თუმცა აღსანიშნავია რამდენიმე განსხვავება. ამ განსხვავებებიდან ყველაზე მნიშვნელოვანი ის არის, რომ საქართველოს კანონმდებლობის /ნორმატიული აქტებით ყურადღება გამახვილებულია საკუთრების ოფიციალურ უფლებებზე და იმაზე, თუ როგორ უნდა განხორციელდეს საზოგადოებრივი მიწებისთვის ქონების შესყიდვა და კომპენსაცია, მაშინ, როცა OP 4.12-ში ყურადღება გამახვილებულია როგორც კანონიერ მფლობელობაში არსებული აქტივების კომპენსაციაზე, ასევე ზემოქმედების ქვეშ მყოფი პირების და შინამეურნეობების შემოსავლების წყაროების ზოგად რეაბილიტაციაზე. შესაბამისად, იძულებით განსახლებაზე მსოფლიო ბანკის სოციალური და ეკოლოგიური პოლიტიკა, ავსებს საქართველოს კანონმდებლობას/ნორმატიულ აქტებს დამატებითი მოთხოვნებით, რომლებიც დაკავშირებულია (i) ზემოქმედების ქვეშ მყოფი ყველა პირის/შინამეურნეობის ეკონომიკურ რეაბილიტაციასთან (მათ შორის მათი, რომელთაც არ აქვთ იურიდიული/ოფიციალური უფლებები პროექტის მიერ შესყიდულ აქტივებზე); (ii) საწარმოსა და შემოსავლის დაკარგვის შედეგად მიყენებული ზარალის ანაზღაურების გარანტიის უზრუნველყოფასთან, (iii) და განსაკუთრებული შემწეობის უზრუნველყოფასთან ზემოქმედების ქვეშ მყოფი პირების/შინამეურნეობების ხარჯების ასანაზღაურებლად განსახლების პროცესში, ან სერიოზულად დაზარალებული ან მოწყვლადი



მოსახლეობის/შინამეურნეობების სპეციალური საჭიროებების დაკმაყოფილებასთან. გარდა ამისა, საქართველოს კანონმდებლობა არ ითვალისწინებს, რაიმე სახის განსაკუთრებულ ღონისძიებას, საზოგადოებასთან ინტენსიური კონსულტაციების საფუძველზე განსახლების სამოქმედო გეგმის მოსამზადებლად.

აღნიშნული განსხვავების გამო, პროექტი უნდა შეესაბამებოდეს, როგორც საქართველოს ეროვნულ კანონმდებლობას, ისე მსოფლიო ბანკის სოციალურ და ეკოლოგიურ პოლიტიკას. თუ ამ ორს რომელიმე კონკრეტული ასპექტის მიმართ განსხვავებული მიდგომა აქვს, მაშინ პროექტმა მათგან შედარებით მკაცრი მოთხოვნები უნდა დააკმაყოფილოს.

## 5. განხორციელების ღონისძიებები

განათლების, მეცნიერების, კულტურის და სპორტის სამინისტრო უზრუნველყოფს ტექნიკური დახმარების და პროექტით დაფინანსებული საქონლის მიწოდებასთან დაკავშირებული საკითხების მართვას, მგფ კი ფიზიკური სამუშაოების მიწოდებას მართავს. მგფ ასევე შეისწავლის საკონსულტაციო მომსახურებას სკოლის შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/მშენებლობის დაპროექტების მიზნით. განათლების, მეცნიერების, კულტურის და სპორტის სამინისტრო (განათლების სამინისტრო) ნიშნავს საკონტაქტო პირს, რომელიც პასუხს აგებს დაპროექტებასა და მშენებლობასთან დაკავშირებულ საკითხებზე მგფ-სთან ურთიერთობაზე. აღნიშნული პირი წარმოადგენს განათლების სამინისტროს საკონტაქტო პირს პროექტის კონსულტანტებისთვის საპროექტო დოკუმენტების ტექნიკურ დავალებებზე თანხმობის მიცემისას და დასრულებული შენობების გადაცემის დროს. სავალდებულოა განათლების სამინისტროს მიერ ტექნიკურ დავალებების და საპროექტო დოკუმენტების დამოწმება, ზემოთ აღნიშნული სერვისების შესყიდვამდე და სამუშაოებზე ტენდერის გამოცხადებამდე. იმ შემთხვევაში თუ სკოლის შენობებში ფიზიკური სამუშაოები ვერ დაიწყება და დასრულება სასკოლო არდადეგების დროს და უსაფრთხოდ სამუშაოების განხორციელება შეუძლებელია შენობის გამოყენების დროს, საჭირო გახდება სასკოლო პროცესიის გადატანა ალტერნატიულ შენობაში, სკოლის შენობის რეაბილიტაციის დასრულებამდე და გადაცემამდე. ამ შემთხვევაში, განათლების სამინისტრო სრულ პასუხისმგებლობას იღებს სწავლებისათვის უსაფრთხოდ და ადეკვატური შენობის დროებით უზრუნველყოფაზე, ასევე მოსწავლეების ალტერნატიულ შენობამდე ტრანსპორტირებაზე. თუ სკოლას, რომელიც ალტერნატიულ შენობაში გადადის, ხელშეკრულება აქვს გაფორმებული სკოლისთვის კვების ან სხვა მომსახურების მიწოდებაზე, ან კლასგარეშე ხელოვნების და სპორტის გაკვეთილების მიწოდებაზე სკოლის შენობაში (რომელიც უნდა გათავისუფლდეს რეაბილიტაციისთვის) განათლების სამინისტრო პასუხს აგებს მხარეებს შორის ასეთი საკითხების მოგვარებაზე.

პროექტის მართვის სამსახურის ინსტიტუციონალური შესაძლებლობების შექმნა და მგფ-ის პერსონალის შესაძლებლობების გაძლიერება პროექტის განხორციელებისა და შესაბამისი ფუნქციების შესასრულებლად საჭიროებს ინდივიდუალური კონსულტანტის მომსახურებას (კონკრეტული სფეროს სპეციალისტის). ასეთი

მომსახურების გაწევის საჭიროების განხილვა და შეთანხმება უნდა მოხდეს მსოფლიო ბანკთან. თავდაპირველად შერჩეული კონსულტანტების ერთობლიობა შესაძლოა მოითხოვდეს ცვლილებებს პროექტის განხორციელების პროცესში, რომელიც ასევე არის ბანკთან განსახილველი და შესათანხმებელი თემა.

## 6. ქვეპროექტის შერჩევა, სკრინინგი და წინასწარი შეფასება

განათლების სამინისტრო სკოლის შენობის რეაბილიტაციის და ახალი შენობების მშენებლობის საჭიროებას შემდეგი კრიტერიუმების საფუძველზე განსასაზღვრავს:

- სკოლის ფიზიკური მდგომარეობა (აგრეგატი, რომელიც მოიცავს სახურავს, ფანჯრებს, გარე კედლებს და ა.შ.);
- სოციალურად დაუცველი მოსწავლეების პროცენტული მაჩვენებელი მოსწავლეების მთლიან რაოდენობაში;
- კვადრატული მეტრების რაოდენობა ერთ მოსწავლეზე, როგორც არასრულფასოვანი გამოყენების საზომი ერთეული
- მოსწავლეთა მთლიანი რაოდენობა

ნაწილობრივი ან სრული რეაბილიტაციის გადაწყვეტილების მისაღებად სკოლის შენობების ფიზიკური მდგომარეობა მნიშვნელოვანი იქნება. ახალი შენობა-ნაგებობების მშენებლობა შესაძლებელია სასურველი იყოს არსებულ შენობის მნიშვნელოვანი სტრუქტურული დაზიანების შემთხვევაში. შერჩევის სხვა კრიტერიუმებს შემოაქვს სოციალური და ეკონომიკური პერსპექტივა გადაწყვეტილების მიღების პროცესში. შერჩევის დეტალური მექანიზმი გამოიყენებს ამ და სხვა შესაძლო დამატებით კრიტერიუმებს, რომელთა შემუშავებაც მოხდება პროექტის განხორციელების ადრეულ ეტაპზე.

შერჩევის ეს კრიტერიუმები შედის პროექტის საოპერაციო სახელმძღვანელოში და ნახლდება შესაბამისი კონსულტაციების, ნებართვების და გასაჯაროების მოთხოვნების თანახმად, გარემოსდაცვით და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების მართვის ჩარჩო დოკუმენტით და განსახლების სამოქმედო გეგმით დადგენილი პროცედურების შესაბამისად, ასევე ამ დოკუმენტში მითითებული კანონებისა და რეგულირების ნორმების შესაბამისად.

სკოლის შენობების სტრუქტურული ერთიანობის შეფასება ათასწლეულის გამოწვევის კორპორაციის მხარდაჭერით განხორციელდა. აღნიშნული კვლევის შედეგები უკვე იქნა გამოყენებული სკოლის შენობების პირველადი სკრინინგისთვის. პროექტის განხორციელების გეგმაში შეტანამდე მგფ-მ შესაძლოა საერაბილიტაციოდ შემოთავაზებული შენობების დამატებითი ტექნიკური ინსპექცია განახორციელოს.

საქვეპროექტო წინადადებების ეკოლოგიურ და სოციალურ სკრინინგს მგფ-ს დაპროექტების, გარემოს დაცვის და სოციალური საკითხების სპეციალისტები ერთად ახორციელებენ (*დანართი 1 და 2*). სკრინინგის ანგარიშები უზრუნველყოფს ინფორმაციას ძირითადი ამოცანებისა და ზემოქმედების შესამცირებლად მისაღები ზომების ტიპების შესახებ. ეკოლოგიური სკრინინგის ანგარიში სრულდება ეკოლიგიური თვალსაზრისით ქვეპროექტის დამტკიცებით ან უარყოფით და

ქვეპროექტისთვის ეკოლოგიური კატეგორიის მინიჭებით. იგი ასევე განსაზღვრავს ამ ქვეპროექტისთვის მოსამზადებელ უსაფრთხოების შესაბამის ინსტრუმენტებს. სოციალური სკრინინგის ანგარიში ადგენს ნათელია თუ არა და რამდენად არსებობს ქვეპროექტის განხორციელების ზონაში მიწის ნაკვეთის საკუთრების და გამოყენების დამადასტურებელი დოკუმენტაცია, აღნიშავს ქვეპროექტის მთავარ სოციალურ სარგებელს და ზარალს და განსაზღვრავს სოციალური ზემოქმედების შემცირების ზომებს.

## 7. სენსიტიური მიმღებები და პოტენციური ზემოქმედება

პროექტის აქტივობები შესაძლოა განხორციელდეს დედაქალაქში, თბილისში ან ნებისმიერ დასახლებაში ქვეყნის მასშტაბით.

სკოლის შენობების რეაბილიტაცია და მშენებლობა დადებით ცვლილებებს შეიტანს საგანმანათლებლო სერვისების მიწოდებაში. გარდა ამისა, მოხდება ხარჯების შემცირება საოპერაციო და ტექნიკური მომსახურების ხარჯების შემცირების გზით. პროექტის მოსალოდნელი საერთო დადებითი ეკოლოგიური და სოციალური ზემოქმედება გრძელვადიანი და კუმულაციური იქნება, რაც საბოლოო ჯამში ხელს შეუწყობს ზემოქმედების ქვეშ მყოფი მოსახლეობის მიერ გაზრდილი სოციალური და ეკონომიკური სარგებლის მიღებას.

პროექტის მშენებლობის და ოპერაციული ეტაპების პოტენციური უარყოფითი ეკოლოგიური და სოციალური ზემოქმედება აღწერილია ქვემოთ. ზოგადად, სკოლის შენობების და შესაბამისი ინფრასტრუქტურის სამშენებლო და სარეაბილიტაციო სამუშაოებთან დაკავშირებული პოტენციური უარყოფითი ზეგავლენა მშენებლობასთან არის დაკავშირებული, მოკლე ვადიანი და ადგილობრივი მნიშვნელობის არის. პოტენციური უარყოფითი ზემოქმედება ძირითადად მშენებლობის/რეაბილიტაციის პერიოდში და სამუშაო მოედანზე შეინიშნება.

### 6.1 ზემოქმედება მშენებლობის ეტაპზე

ლანდშაფტის დეგრადაცია და ნიადაგის ეროზია. ზოგიერთი ადგილი ნიადაგის ეროზიის მიმართ მგრძობიარეა; შესაბამისად, მიწის სამუშაოების განხორციელებისას და ადგილის მოსწორებისას რეკულტივაციის პერიოდში მიღებული იქნება ეროზიის საწინააღმდეგო ზომები.

მშენებლობის ნარჩენებისგან დაბინძურება. მანქანა-დანადგარებიდან და დაგროვებული სამშენებლო მასალებიდან ნავთობის გამოჟონვის შედეგად ნავთობპროდუქტები და ქიმიური ნივთიერებები შეიძლება გრუნტის წყლებში ჩავიდნენ და წყლის მიმღებამდე გაჟონონ.

ბიომრავალფეროვნებაზე გავლენა. სკოლის შენობის რეაბილიტაციის გამო ბიომრავალფეროვნებაზე ზემოქმედება არ არის მოსალოდნელი, რადგან ეს დასახლებებში უკვე არსებული შენობებია, სადაც ეკოსისტემა საგრძნობლად

ტრანსფორმირებულია და უკვე მნიშვნელოვანი ანთროპოგენულ ზემოქმედება განიცადა. ბიომრავალფეროვნებაზე ერთადერთი გავლენა შეიძლება სამშენებლო მასალის სახით ქვის მოპოვებითმა სამუშაოებმა მოახდინოს.

ხმაური, ვიბრაცია და გამონაბოლქვი. ხმაური, ვიბრაცია და გამონაბოლქვი სამშენებლო მასალების ტრანსპორტირების დროს და სატვირთო მანქანების მოძრაობის შედეგად გაჩნდება. არაორგანული მტვრის გამონაბოლქვი ჩნდება საექსკავაციო და მასალით დატვირთის სამუშაოების დროს, მავნე ნივთიერებების და მტვრის გამონაბოლქვი კი სატრანსპორტო საშუალებების და მანქანა-დანადგარების მიერ დიზელის საწვავის გამოყენებისას სამშენებლო სამუშაოების განხორციელების პერიოდში. შესადულებელი სამუშაოები იწვევს შედუღების აეროზოლის და მანგანუმის მონოოქსიდის გამონაბოლქვის გაჩენას. ბეტონის ასარევი სამუშაოები ბეტონის მტვრის გამოყოფას იწვევს.

მოპოვებული მასალების და სამშენებლო ნაგვის წარმოქმნა. ნანგრევები ჩნდება სარეაბილიტაციო სამუშაოების დროს, მათ შორის აზბესტის შემცველი გადასახურავი მასალა, რომელიც ფართოდ გამოიყენებოდა მშენებლობაში ბოლო დრომდე. ეს შედეგები ლოკალიზდება და მინიმუმამდე იქნება დაყვანილი ნაგვის გატანის სათანადო პროცედურების შესაბამისად, რაც მოიცავს მაგრამ არ შემოიფარგლება შემდეგით: ნარჩენების დროებითი განთავსების ადგილის ფრთხილად შერჩევა, ამ ობიექტების მკაფიო კონტურებით შემოსაზღვრა, მათი გაფართოების აღკვეთის მიზნით, ამ ობიექტების ჩარეცხვის შესაძლებლობის გამორიცხვა, ადგილობრივი ხელისუფლებისგან წერილობითი შეთანხმების გაფორმება მუდმივი ნაგავსაყრელის უზრუნველყოფის თაობაზე და გამოყოფილ ნაგავსარელზე ნაგვის დროულად გადატანა.

სამშენებლო სამუშაოებთან დაკავშირებული უსაფრთხოების რისკები. უსაფრთხოების რისკები შესაძლოა გაჩნდეს ჯანმრთელობის და უსაფრთხოების სათანადო პრაქტიკის უგულვებელყოფით, რამაც შეიძლება გამოიწვიოს ტრავმები და ინციდენტები. დამატებითი საფრთხეები ჩნდება სარეაბილიტაციო სამუშაოების განხორციელებისას სასწავლო პროცესის დროს ან ისეთ დროს, როდესაც ბავშვებს სკოლის შენობა-ნაგებობებში შესვლა შეუძლიათ.

ისტორიულ-კულტურულ და არქეოლოგიურ ძეგლებზე ზემოქმედება. სარეაბილიტაციო სამუშაოების არასათანადო განხორციელებამ შესაძლოა გამოიწვიოს ზიანი, იმ შემთხვევაში თუ სარეაბილიტაციოდ შერჩეული სკოლა შედის კულტურული და/ან ისტორიული ძეგლების სიაში.

## **6.2 ზემოქმედება ოპერაციულ ეტაპზე**

უსაფრთხოების რისკები საოპერაციო საქმიანობისას. სკოლების რეაბილიტაციის ოპერაციულ ეტაპზე მნიშვნელოვანი რისკები არ არის მოსალოდნელი, იმ შემთხვევაში თუ საოპერაციო საქმიანობა და შესაბამისი უსაფრთხოების პროცედურები სათანადოდ სრულდება. საოპერაციო ეტაპზე, ხდება შიდა

კომუნიკაციების და სახანძრო უსაფრთხოების სისტემების გამართულად მუშაობის და მომსახურების უზრუნველყოფა.

ლოკალიზებული სოციალური და ეკონომიკური ზემოქმედება. ზოგადად, ადგილობრივ მოსახლეობაზე და მათ დასაქმებაზე დადებითი გავლენა მოსალოდნელი. სკოლების რეაბილიტაციას გარკვეული გავლენა ექნება ადგილობრივი სამუშაო ძალის დემოგრაფიულ სტრუქტურაზე პროექტის განხორციელების ზონაში. პროექტი შექმნის დროებით და ზოგჯერ მუდმივი დასაქმების შესაძლებლობებს ადგილობრივი მოსახლეობისთვის (როგორც მამაკაცებისთვის, ისე ქალებისთვის), რადგან შესაძლოა მათი დაქირავება სარეაბილიტაციო და სარემონტო სამუშაოები დროს. პროექტის ფარგლებში შესაძლებელი იქნება აღნიშნული ზემოქმედების მონიტორინგი გენდერულად დანაწევრებული მაჩვენებლების გამოყენების გზით. დასახლებაში თანამედროვე სკოლის არსებობა უფრო მეტ ადამიანს მისცემს სოფელში დარჩენის საშუალებას (განსაკუთრებით მათ, ვისაც სკოლის ასაკის ბავშვები ჰყავთ).

ზემოქმედება საგანმანათლებლო სერვისების უზრუნველყოფაზე. სკოლის ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია, საგრძნობლად გააუმჯობესებს იმ შენობის პირობებს, სადაც სკოლის მოსწავლეები სწავლობენ; ზოგადი მდგომარეობა გაუმჯობესდება ასევე შესაძლებლობებისა და სასკოლო პროგრამის გაძლიერების მიზნით გატარებული ღონისძიებების დახმარებით. სკოლების რეაბილიტაცია უზრუნველყოფს საგანმანათლებლო სერვისების მიწოდებას არსებული სტრუქტურის სავალალო მდგომარეობით გამოწვეული შეფერხებების გარეშე (მაგალითად, გათბობის სისტემის მწყობრიდან გამოსვლით და ასე შემდეგ).

საყოფაცხოვრებო ნარჩენების და ჩამდინარე წყლების წარმოქმნა. სკოლის ფუნქციონირება გამოიწვევს ნარჩენების და ჩამდინარე წყლების წარმოქმნას. ნაგვის არასათანადოდ და გვიან შეგროვებამ, გატანამ და გადაყრამ შეიძლება სკოლის შენობაში და მიმდებარე ტერიტორიაზე უსიამოვნო სუნი გააჩინოს და ესთეტიურად უარყოფითი ზემოქმედება იქონიოს. სხვა უარყოფითი შედეგები შეიძლება იყოს, სანიტარული და ჰიგიენური პირობების გაუარესება და საკანალიზაციო სისტემის გაქეცვა.

გათბობის სისტემის ფუნქციონირება. გათბობის სესტემის მწყობრიდან გამოსვლამ, შესაძლოა წლის ცივ სეზონზე სასწავლო პროცესის დროებით შეწყვეტა გამოიწვიოს. გათბობის სისტემების არასათანადოდ ფუნქციონირებამ შესაძლოა ზემოქმედება იქონიოს ჰაერის ხარისხზე და ატმოსფერული ჰაერის დაბინძურება გამოიწვიოს.

## **8. ზემოქმედების შერბილება**

საჭიროების შემთხვევაში შესაძლოა ზემოქმედების შემარბილებელი ზომების მიღება (ინფრასტრუქტურის ტიპის, სამუშაოების მოცულობის და ტიპის, შემოგარენის და სხვ. მიხედვით) განისაზღვრება ცალ-ცალკე დაპროექტების, მშენებლობის და

ექსპლუატაციის ეტაპებისთვის. შესაბამისი ღონისძიებები გაითვალისწინება ეკოლოგიურ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების მართვის გეგმებში.

## 7.1 დაპროექტების ეტაპი

ეკოლოგიური და სოციალური ზემოქმედების შემცირების მოთხოვნები მოცემული იქნება საბოლოო პროექტებში, ტექნიკურ სპეციფიკაციებში და სატენდერო დოკუმენტებში, რომლებიც უნდა განხორციელდეს სამშენებლო სამუშაოების შემსრულებელი კომპანიის (კონტრაქტორის) და მომსახურე ორგანიზაციების მიერ პოტენციური ზემოქმედების თავიდან აცილების, აღკვეთის და მინიმუმამდე შემცირების მიზნით. ეკოლოგიურ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების მართვის გეგმებში მიეთითება ინფორმაცია ქვეპროექტის ობიექტის მიმდებარედ არსებულ ბუნებრივი სამშენებლო მასალების სანქცირებულ კარიერებზე და კონტრაქტორის მიერ შესაბამის სახელმწიფო და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებისგან მისაღები ნებართვებისა და თანხმობების ნუსხა.

სარეაბილიტაციოდ სკოლის შენობების შერჩევა ეფუძნება საქართველოს მთავრობის მიერ ათასწლეულის გამოწვევა ფონდი-საქართველოს მხარდაჭერით განხორციელებულ შენობების ინვენტარიზაციას და ასევე იმ სტრუქტურული დაზიანებების დამატებით შემოწმებას, რომელსაც მგფ მიიჩნევს საჭიროდ. თუ პროექტის განხორციელების გეგმაში შედიან, შენობების სტრუქტურული დაზიანების და/ან სეისმური არამდგრადობის დროს, სვალდებულოა შენობების გასამაგრებელი სამუშაოების განხორციელება. განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა შენობებს, რომლებიც კულტურულ მემკვიდრეობის ძეგლებს წარმოადგენენ. საბოლოო პროექტები მოიცავს ყველა შესაბამის თანხმობას და ნებართვას.

## 7.2 მშენებლობის ეტაპი

ლანდშაფტების შენარჩუნება და ნიადაგის ეროზიის მინიმალურ დონემდე შემცირება. ლანდშაფტის დეგრადაციის და ნიადაგის ეროზიის მინიმუმამდე შესამცირებლად კონტრაქტორი, თუ შესაძლებელია, გამოიყენებს არსებულ კარიერებს საჭირო დამატებითი მასალების მოსაპოვებლად. სასურველია გამოყენებული იქნეს ამოღებული და ნათხარი მიწა, რაც შეამცირებს ძველი და ახალი კარიერების საჭიროებას. ბუნებრივი სამშენებლო მასალების მოპოვების ნებართვის მიღება ხდება ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს დაქვემდებარებული სტრუქტურის, წიაღის ეროვნული სააგენტოსგან, საჭიროების შესაბამისად. მისასვლელი გზები ყურადღებით შეირჩევა ლანდშაფტზე ზემოქმედების და ნიადაგის ეროზიის მინიმალურ დონემდე შესამცირებლად; სამშენებლო სამუშაოების დროს განხორციელდება მათი ყურადღებით კონტროლი მათი არასათანადო გაფართოების თავიდან აცილების მიზნით.

სამშენებლო ნარჩენების მართვა. შესაძლებლობის შემთხვევაში გამოიყენება არსებული მისასვლელი გზები, რაც მინიმალურად შეამცირებს ახალი გზების გაყვანის საჭიროებას. მისასვლელი გზების და სამუშაო ზონის ზედა ზედაპირი გამკვრივდება წყლის ჩადინების ხელშეწყობის და ობიექტის დატბორვის თავიდან

ასაცილებლად. ამისთვის შესაძლოა საჭირო გახდეს სადრენაჟო თხრილების ამოთხრა და მათი ბუნებრივ სადრენაჟო არხებთან / წვიმის წყლის არინების სისტემასთან (მაგ.: ახლომდებარე გზის გასწვრივ მისი არსებობის შემთხვევაში) მიერთება. ზეთისა და საპოხი მასალის შესანახი ადგილები სათანადოდ აღიჭურვება ნიადაგის და წყლის დაბინძურების რისკის მინიმალურად შესამცირებლად. სამშენებლო ბანაკ(ებ)ში დაიდგმება შეუღწევადი მასალით დამზადებული სეპტიკური ავზები, რომლებიც დაიცლება არსებული წესების შესაბამისად. დაპროექტების ეტაპზე ჩამდინარე წყლები სპეციალური სატვირთო მანქანით ტრანსპორტირდება საკანალიზაციო წყლების ცენტრალურ კოლექტორამდე, ადგილობრივ ხელისუფლებასთან გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე.

ბიომრავალფეროვნების შენარჩუნება. ბიომრავალფეროვნებაზე ზემოქმედების დონე მინიმალური იქნება, რადგან სამუშაოები არსებული შენობების რეაბილიტაციას მოიცავს. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, წახალისდება სამშენებლო მასალის წყაროდ უკვე მოქმედი კარიერების გამოყენება ლანდშაფტებზე და ბიომრავალფეროვნებაზე ახალი კარიერებით გამოწვეული ზემოქმედების მინიმალურ დონემდე შემცირების მიზნით.

ხმაურის, ვიბრაციის, და გამონაბოლქვის მართვა. ჰაერის დაბინძურების აღსაკვეთად მიიღება მტვრის შემამცირებელი ზომები მისასვლელი გზების და სამშენებლო ობიექტების მორწყვის საშუალებით. მშენებლობის დროს გაიზრდება ჰაერის დაბინძურების დონე, ძირითადი დამაბინძურებელი ნივთიერებები მოიცავს მანქანა-დანადგარების მიერ გამოყოფილ გამონაფრქვევ აირებს და მიწის და ქვის სამუშაოების შედეგად წარმოქმნილ მტვერს. მშენებლობის დროს წყლით მორწყვა მტვრის ზემოქმედებას შეამცირებს. სამშენებლო ობიექტიდან მტვრით და ხმაურით დაბინძურების დონე მინიმალურ დონემდე შემცირდება სამშენებლო მასალების და ნანგრევების ტრანსპორტირებისთვის დახურული/გადახურული სატვირთო მანქანების გამოყენებით. მიმდებარე ტერიტორიაზე მაცხოვრებლებზე ზემოქმედების მინიმალურ დონემდე შესამცირებლად სატრანსპორტო საშუალებები აღიჭურვება გამონაბოლქვის მაყურებით, რომლებიც რეგულარულად შემოწმდება მათი ტექნიკური გამართულობის უზრუნველსაყოფად. გარდა ამისა, სარეაბილიტაციო სამუშაოები მხოლოდ დღის საათებში განხორციელდება.

ნარჩენების მართვა. სამშენებლო ნარჩენების დროებითი შენახვა სამშენებლო ობიექტზე და მათი საბოლოო გადაყრა მკაცრად რეგულირდება. სამშენებლო ობიექტის ტერიტორია შემოისაზღვრება ღობით და აღნიშნული საზღვრის მიღმა ნარჩენების შენახვა ან გადაყრა არ დაიშვება. ნარჩენებს დროებით სამშენებლო მოედნის სპეციალურად გამოყოფილ ადგილას შეინახავენ, ისე რომ სამშენებლო ობიექტზე მისასვლელი არ ჩაიკეტოს და საფრთხეს არ წარმოადგენდეს. თუ სამუშაოების დროს საშიში ნარჩენები წარმოიქმნება, მას შეფუთავენ, გამოიჯნავენ და საფარის ქვეს შეინახავენ. სამშენებლო ობიექტზე მოჭარბებული მოცულობის ნარჩენი არ დაგროვდება. ისეთი ნარჩენები, რომლებიც გადამუშავებას ექვემდებარება ან მათი ხელახლა გამოყენება შესაძლებელია (მაგალითა, ჯართი) გადაეცემა წინასწარ განსაზღვრულ პირებს. ნარჩენების საბოლოო გადაყრაზე თანხმობა მიიღება ადგილობრივი ხელისუფლებისგან ან ფორმდება ხელშეკრულება ნაგვის მიღების

თაობაზე შესაბამის ნაგავსაყრელებთან. დაუშვებელია ნარჩენების უფასოდ გადაყრა ან ღია ცის ქვეშ დაწვა. ლანდშაფტის ფსევდო-საწყისი მდგომარეობის აღდგენა ხდება სამუშაოების დასრულების შემდეგ, სამშენებლო სამუშაოების შემსრულებლის მიერ კარიერების გამოყენების შემდეგ.

უსაფრთხოების რისკების მართვა. სარეაბილიტაციო სამუშაოების განხორციელების დროს, სათანადო სამშენებლო პრაქტიკის და უსაფრთხოების პროცედურების გამოყენების შემთხვევაში, მნიშვნელოვანი რისკები მოსალოდნელი არ არის. სკოლის სარეაბილიტაციო სამუშაოები სასურველია განხორციელდეს ზაფხულის თვეების განმავლობაში (როდესაც სკოლები არ მუშაობენ) სასწავლო პროცესის შეფერხების თავიდან მაქსიმალურად ასაცილებლად და ბავშვებთან დაკავშირებული ინციდენტების რისკის გამოსარიცხად. თუ აღდგენითი სამუშაოები სასწავლო პროცესის პარალელურად ხორციელდება, ალტერნატიულ ვარიანტად განიხილება დროებით სასწავლო პროცესის ახლო მდებარე სკოლაში გადატანა. თუ ამის გაკეთება შეუძლებელია, სარემონტო სამუშაოები სკოლის შენობის იმ ნაწილით შემოიფარგლება, სადაც სკოლის მოსწავლეებს წვდომა არ ექნებათ (მაგალითად, სარემონტო სამუშაოები მიმდინარეობს ერთ სართულზე, მეორე სართულზე კი სასწავლო პროცესი). სამუშაოების შესრულებისას გამოიყენება პერსონალური დამცავი აღჭურვილობა. თუ სამუშაო აზბესტის შემცველი მასალისგან დამზადებული სახურავის ფილების აღებას მოიცავს, სამუშაოს შეასრულებს მომზადებული პერსონალი, რომელიც გამოიყენებს სპეციალურ პერსონალურ დამცავ აღჭურვილობას.

ისტორიული და/ან კულტურული ძეგლების შენარჩუნება. თუ პროექტის ფარგლებში სარეაბილიტაციოდ შერჩეული სკოლის შენობა კულტურული მემკვიდრეობის ოფიციალურ, კულტურისა და კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სამინისტროს მიერ დამტკიცებულ ნუსხაში შედის, საჭიროა სპეციალური ნებართვის მიღება სამინისტროსგან, იმ შემთხვევაში თუ სამუშაოები შენობის ექსტერიერზე ხორციელდება (გარე კედლებზე); თუ სამუშაოები სკოლის შიგნით ხორციელდება, თუმცა არ მოიცავს კულტურული და ისტორიული ღირებულების მქონე სვეტებს და სხვა ელემენტებს – სარემონტო სამუშაოების განსახორციელებლად ნებართვის მოპოვება არ არის საჭირო.

უარყოფითი ზემოქმედების მინიმალურ დონემდე შემცირების მიზნით სარეაბილიტაციო სამუშაოები განსახორციელებლად გაიმართება კონსულტაციები სკოლის ადმინისტრაციის და შესაბამისი ორგანოების წარმომადგენლებთან.

### 7.3 ოპერაციული ეტაპი

ოპერაციულ ეტაპზე სავალდებულოა სკოლის სტრუქტურების და დაკავშირებული ინფრასტრუქტურის რეგულარულად შემოწმება განათლების სამინისტროს /ადგილობრივი, რეგიონული ხელისუფლების მიერ, მათი პერიოდული ტექნიკური მომსახურება, ტექნიკურად გამართულად ფუნქციონირების უზრუნველსაყოფად და ზიანის თავიდან ასაცილებლად. სკოლის სტრუქტურების და დაკავშირებული ინფრასტრუქტურის მიმდინარე რემონტი საჭიროა განხორციელდეს დროულად და



სათანადოდ. უზრუნველყოფილი უნდა იყოს კომუნიკაციების გამართული მუშაობა სკოლის მოსწავლეებისთვის სათანადო პირობების შესაქმნელად.

საყოფაცხოვრებო ნარჩენების მართვა. სკოლის ტერიტორიასთან ახლოს მოთავსდება ნაგვის კონტეინერი სკოლის ფუნქციონირებისას წარმოქმნილი ნაგვის შესაგროვებლად. შესაბამის ორგანოსთან/პირთან გაფორმდება ხელშეკრულება/კონტრაქტი ნაგვის დროულად გატანის და გამოყოფილ ნაგავსაყრელზე გადაყრის მიზნით.

ჩამდინარე წყლების მართვა. ზოგიერთი სკოლა უკვე მიერთებულია მუნიციპალურ საკანალიზაციო სისტემებთან. თუ შენობა სისტემასთან დაკავშირებული არ არის, მაგრამ მუნიციპალური კოლექტორის სისტემა არსებობს, პროექტის ფარგლებში შეისწავლიან სკოლის შენობის მიერთების შესაძლებლობას სარემონტო სამუშაოების ფარგლებში. ამ მიზნით, პროექტი ხელს შეუწყობს ხელშეკრულების გაფორმებას კანალიზაციის კოლექტორის სისტემას უბანში. თუ იმ დასახლებაში, სადაც სკოლა მდებარეობს, ცენტრალიზებული საკანალიზაციო სისტემა არ არის, ჩამდინარე წყლები მოგროვდება სეპტიკურ ავზში, რომელსაც პერიოდულად სპეციალიზებული ორგანიზაცია ამოიღებს, გადაიტანს ახლოს არსებულ ცენტრალიზებულ საკანალიზაციო კოლექტორთან და დაცლის.

გათბობის სისტემების ფუნქციონირება. უზრუნველყოფილი იქნება გათბობის სისტემების სათანადო ფუნქციონირება და მიმდინარე რემონტი, მათ შორის სისტემების რეგულარულად შემოწმება და მომსახურება, გათბობის სეზონზე მათი შეუფერხებელი ფუნქციონირების, სასწავლო პროცესის სათანადოდ წარმართვის და ჰაერის დაბინძურების მინიმალურ დონემდე შემცირების მიზნით.

სახურავების და კომუნიკაციების მიმდინარე რემონტი. გარემონტებული სკოლის შენობების ფუნქციონირებისას განხორციელდება სახურავების და კომუნიკაციების ტექნიკური მომსახურება, მათ შორის რეგულარული შემოწმება და რემონტი, საჭიროების შესაბამისად. ზამთარში თოვლის მოსვლის შემდეგ გაიწმინდება სახურავები, მათ ქვეშ მოსიარულე სკოლის მოსწავლეების, მშობლების და სკოლის პერსონალის უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით.

სკოლის ეზოს და მისასვლელი ტერიტორიის მოვლა. სკოლის ადმინისტრაცია უზრუნველყოფს სკოლის ეზოს და ნაგებობების რეგულარულ ტექნიკურ მომსახურებას, კარგი სანიტარული პირობების და სასიამოვნო გარემოს შესანარჩუნებლად. მისასვლელი ტერიტორია გასუფთავდება ისეთი ელემენტებისგან, რომლებიც სკოლის შენობასთან მისვლას უშლის ხელს.

## **9. გარემოსდაცვითი და სოციალური შეფასება და მართვის დაგეგმვა**

ქვეპროექტების ეკოლოგიური და სოციალური სკრინინგის შედეგების საფუძველზე, მომზადდება ESR B+ კატეგორიის ქვეპროექტების ეკოლოგიური და სოციალური

მიმოხილვა სკრინინგის ეტაპზე გამოვლენილი რიკების ზოგად ტიპებთან ასოცირებული ყველა ტექნიკური დეტალის განსაზღვრის მიზნით; ხდება სკრინინგის საფუძველზე შემოთავაზებული ზემოქმედების თავდაპირველი შემარბილებელი ზომების შერეული კომპლექტის ქვეპროექტის კონკრეტულ საჭიროებებთან მორგება და ეკოლოგიური და სოციალური მონიტორინგის გეგმების შემუშავება. ეკოლოგიური და სოციალური მართვის მატრიცა, რომელიც შედგება შემარბილებელი ზომების და მონიტორინგის ცხრილებისგან, განსაზღვრავს შემარბილებელი ზომების ძირითადი სახეების სავარაუდო ღირებულებას, შემარბილებელი ზომების მიღებაზე და გარემოსა და სოციალური მართვის გეგმის განხორციელების მონიტორინგზე პასუხისმგებელ მხარეებს. შემარბილებელი ზომების ცხრილი აუცილებლად უნდა მოიცავდეს აქტივობების კონკრეტულ სახეებს, რომლებისთვისაც შემარბილებელი ზომების მიღებაა საჭირო, უნდა აღნიშნავდეს ცალკეული ტიპის აქტივობებთან დაკავშირებული რისკების შემარბილებელ კონკრეტულ ზომებს და უზრუნველყოფდეს კონკრეტულ გაზომვად მაჩვენებლებს შემარბილებელი ზომების წარმატების განსასაზღვრად. ეკოლოგიური და სოციალური მართვის გეგმებმა უნდა მოიცვან პროექტის როგორც, სამშენებლო ისე ოპერაციული ეტაპები.

მცირე სამშენებლო და სარეაბილიტაციო აქტივობების ეკოლოგიური მართვის საკონტროლო ნუსხა (**დანართი 4**) წარმოადგენს B- კატეგორიის ქვეპროექტების ეკოლოგიური მართვის დაგეგმვის ინსტრუმენტს. ეს არის შესავსები შაბლონი, რომელშიც შედის მოკლე ინფორმაცია ქვეპროექტის ობიექტის მდებარეობაზე, გარშემო არსებულ ფიზიკურ და ბუნებრივ გარემოზე, მიწის ნაკვეთის საკუთრებაზე, ქვეპროექტის განხორციელებასთან დაკავშირებულ კანონმდებლობაზე, და ქვეპროექტის განსახორციელებლად საჭირო კოორდინაციული სახის აქტივობებზე. საკონტროლო ნუსხა უზრუნველყოფს სხვადასხვა სახის აქტივობებისთვის მისაღებ შემარბილებელი ზომების მზა შერეულ კომპლექტს. ეკოლოგიური მონიტორინგის გეგმას შეიმუშავებს მგფ ზემოთ აღნიშნული მითითებების შესაბამისად.

## **10. საჯარო განხილვა და გარემოსდაცვით და სოციალურ მართვაში მოქალაქეების ჩართულობა**

პროექტის ფარგლებში ეკოლოგიური და სოციალური მართვის შემუშავების მიმართ და ასევე ეკოლოგიური და სოციალური ზემოქმედების შემარბილებელი ზომების დაგეგმვის მიმართ მონაწილეობაზე დაფუძნებულ მიდგომას დიდი მნიშვნელობა აქვს უსაფრთხოების დოკუმენტების ხარისხის და რეალურობის უზრუნველსაყოფად. ეკოლოგიური და სოციალური მართვის ჩარჩო დოკუმენტის ეს პროექტი გამოქვეყნდება მგფ-ს და განათლების სამინისტროს ვებგვერდებზე, ასევე ხელმისაწვდომი იქნება ნაბეჭდი ფორმით შესაბამის რეგიონულ ადმინისტრაციებში როგორც ქართულ, ისე ინგლისურ ენებზე. ეკოლოგიური და სოციალური მართვის ჩარჩო დოკუმენტზე სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციებთან გამართულ კონსულტაციებს მგფ და განათლების სამინისტრო უმასპინძლებს. ეკოლოგიური და სოციალური მართვის ჩარჩო დოკუმენტის შემუშავება დასრულდება მასში საზოგადოების მხრიდან მიღებული კომენტარების (უკუკავშირის) შეტანით.

კონკრეტული ობიექტების გარემოსდაცვითი და სოციალური გარემოს მართვის გეგმები ორ ენაზე მგფ-ს ვებგვერდზე გამოქვეყნდება; ნაბეჭდი ვერსიები ქართულ ენაზე ქვეპროექტის მახლობლად მდებარე ადმინისტრაციულ ცენტრებს დაურიგდება. გამოქვეყნებამდე ეკოლოგიური და სოციალური მართვის გეგმებს გააცნობენ განათლების სამინისტროს. ეკოლოგიური და სოციალური მართვის გეგმების პროექტები გამოქვეყნდება ქართულ და ინგლისურ ენებზე; მგფ გამართავს შეხვედრებს ეკოლოგიური და სოციალური მართვის გეგმების პროექტების საჯარო განხილვის მიზნით. განხილვებზე მიიწვევენ პროექტის მართვის განყოფილების წარმომადგენლებს. ადგილობრივი მოსახლეობა მიიღებს ინფორმაციას ნაბეჭდი ვერსიების ხელმისაწვდომობის შესახებ, ასევე ეკოლოგიური და სოციალური მართვის გეგმებზე საკუთარი მოსაზრებების დაფიქსირების საშუალებებზე. ქვეპროექტების ზემოქმედების ქვეშ მყოფ მოსახლეობასთან საჯარო განხილვები გაიმართება ქვეპროექტების ობიექტებთან ახლოს, დაინტერესებული მხარეებისთვის ადვილად მისასვლელ ადგილას. მგფ-ის და განათლების სამინისტროს დაქვემდებარებული სტრუქტურის, პროექტის მართვის განყოფილების საკონტაქტო ინფორმაცია შეკითხვების, მოსაზრებების (უკუკავშირის) ან საჩივრების წარსადგენად მოსახლეობას დაურიგდება საჯარო განხილვების დროს და პროექტის განხორციელების მანძილზე თვალსაჩინო ადგილას განთავსდება.

საჯარო განხილვის პროცესზე დეტალური ჩანაწერი გაკეთდება. შედგება ყველა შეხვედრის ოქმი, რომელიც მოიცავს შემდეგ ინფორმაციას:

- შეხვედრაზე, მედიის საშუალებით გაკეთებული განცხადება და განცხადების გაკეთების თარიღი;
- შეხვედრის დრო და ადგილი;
- მონაწილეთა რაოდენობა; ვინ ესწერებოდა შეხვედრას (მაგ.: მშობლები, მასწავლებლები და ა.შ.);
- შეხვედრის დღის წესრიგი (მათ შორის, მინიმუმ, მთავარი მოსალოდნელი ეკოლოგიური და სოციალური ზემოქმედება, შემარბილებელი ზომები, საჩივრების განხილვის მექანიზმი);
- ძირითადი გამომსვლელები და მათ მიერ განხილული საკითხები;
- ადგილობრივი მოსახლეობის მიერ დასმული ძირითადი სახის შეკითხვები და მათზე მიღებული პასუხები.

შეხვედრის ოქმებს თან უნდა დაერთოს საჯარო განხილვის დროს გადაღებული ფოტომასალები, ასევე მონაწილეთა სია, მათ საკონტაქტო ინფორმაციით და ხელმოწერებით.

წინამდებარე ეკოლოგიური და სოციალური მართვის ჩარჩო დოკუმენტის, ასევე კონკრეტული ობიექტების ეკოლოგიური და სოციალური მართვის გეგმების შემუშავება დასრულდება მათში შესაბამისი კომენტარების (უკუკავშირის) შეტანით და ხელახლა გამოქვეყნდება საჯარო განხილვების თანდართულ ოქმებთან ერთად.

პროექტის ზემოქმედების ქვეშ მყოფ მოსახლეობასთან კონსულტაციები მშენებლობის ეტაპზეც გაგრძელდება; მოხდება რეაგირება წამოჭრილ ეკოლოგიურ და სოციალურ საკითხებზე, ასევე სავსე ვიზიტების დროს, არაფორმალური განხილვების დროს და ოფიციალურ წერილებში გამოთქმულ პრეტენზიებზე. ჩანაწერები ინახება მგფ-ში პროექტის ოფისში.

## **11. გარემოსდაცვითი და სოციალური მონიტორინგი**

პროექტის განხორციელების განმავლობაში ეკოლოგიური და სოციალური მონიტორინგი მგფ-ის ზედამხედველობის სამუშაოს განუყოფელ ნაწილს შეადგენს. მგფ უზრუნველყოფს, რომ სამუშაოს მომწოდებლების ადგილობრივი მენეჯერები იცნობენ ეკოლოგიური მართვის გეგმებს და ინსტრუქტაჟს უტარებენ მომუშავეებს/პერსონალს აღნიშნული ეკოლოგიური და სოციალური მართვის გეგმებთან შესაბამისობის შესახებ. მგფ მოითხოვს, რომ სამუშაოების მომწოდებლებმა დროულად წარუდგინონ ეკოლოგიური ნებართვები ასფალტის/ბეტონის ასარევი დანადგარის ოპერირებაზე (თუ აქვს); ქვის მასალის, ხრემის და ქვიშის მოპოვების ლიცენზიები (კარიერების ოპერირების შემთხვევაში); და ნაგვის გადაყრაზე ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოებთან წერილობითი შეთანხმება. მგფ რეგულარულად განახორციელებს სამშენებლო სამუშაოების მონიტორინგს ადგილზე, რათა შეამოწმოს რამდენად აკმაყოფილებენ სამუშაოს მომწოდებლები ეკოლოგიური და სოციალური მართვის გეგმების მოთხოვნებს, განსაზღვროს მნიშვნელოვანი ეკოლოგიური პრობლემები ან რისკები; და უზრუნველყოს რეაგირების ზომების სათანადოდ მიღება. თუ მგფ ეკოლოგიური და სოციალური მართვის გეგმებთან შეუსაბამობას დააფიქსირებს, იგი სამუშაოს მომწოდებლებს მითითებებს მისცემს გამოსასწორებელი ზომების შესახებ და ყურადღებით დააკვირდება მათ შემდგომ ქმედებებს ამ მიმართულებით.

მგფ-ს საზედამხედველო ფუნქციების განხორციელების შიდა სიმძლავრე შეიძლება შეივსოს მშენებლობის ზედამხედველობის საერთაშორისო კომპანიის დაქირავების საშუალებით. სამშენებლო სამუშაოების ეკოლოგიური, კულტურული და სოციალური ასპექტების კონტროლი ასეთი საზედამხედველო კომპანიის ტექნიკური დავალების განუყოფელ ნაწილს შეადგენს.

პროექტის მართვის განყოფილება მონიტორინგს გაუწევს სასწავლო პროცესის ალტერნატიულ შენობაში გადატანის პირობების შესრულებას და ეფექტიანობას, სასწავლო სეზონის განმავლობაში რეაბილიტაციის მიზნით სკოლის შენობის გათავისუფლების შემთხვევაში.

## **11. საჩივრების განხილვის მექანიზმი**

ქვე-პროექტების განხორციელების დროს, ადგილობრივმა მაცხოვრებლებმა, პროექტის ზემოქმედების ქვეშ მყოფმა პირებმა და სხვა დაინტერესებულმა მხარეებმა, შესაძლოა პროექტის აქტივობებთან დაკავშირებით მთელი რიგი საკითხები წამოჭრან ან პრეტენზიები გამოთქვან. მაგალითად, სამშენებლო სამუშაოების

ინტენსიური გრაფიკი; მშენებლობაზე მომუშავე სატვირთო მანქანების მოძრაობის შეუფერებელი დრო; ნაგავი; სამშენებლო სამუშაოებით გამოწვეული ხმაური და ჰაერის დაბინძურება; ეკოლოგიური სისტემის დარღვევა - იმ საკითხების სავარაუდო სიას წარმოადგენს, რომლებიც პროექტის აქტივობების გამო შეიძლება წამოიჭრას. მოსწავლეებისთვის და მასწავლებლებისთვის ალტერნატიულ სასწავლო ფართთან დაკავშირებული ღონისძიებები – მაგ.: ალტერნატიულ ლოკაციამდე მანძილი და პირობები, ტრანსპორტირება და ა.შ., – ასევე იმ საკითხების რიცხვს განეკუთვნება, რომლებიც სამშენებლო სამუშაოებთან დაკავშირებით შეიძლება წამოიჭრას.

ქვეპროექტებთან დაკავშირებული გარემოსდაცვითი და სოციალური საკითხების მოგვარების მიზნით პროექტისთვის შეიქმნება საჩივრების განხილვის მექანიზმი (GRM). როგორც განმახორციელებელ უწყებებს, მგფ-ს და განათლების სამინისტროს ბაზაზე არსებულ პროექტის მართვის განყოფილებას პროექტის განხორციელებასა და გარემოსდაცვით შესაბამისობაზე ზოგადი პასუხისმგებლობა ეკისრებათ. სამინისტროსა და მგფ ექნებათ მჭიდრო თანამშრომლობა პროექტის განხორციელების სრული ციკლის განმავლობაში, რათა პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოქცეული ადამიანებისთვის შეიქმნას მარტივი და კომფორტული კომენტარებისა და საჩივრების წამოჭრისთვის. იმ შემთხვევაში თუ რომელიმე ერთ უწყებაში შევიდა საჩივარი, აღნიშული უწყება ვალდებულია გაუზიაროს მეორე უწყებას შემოსული საჩივარი დაუყოვნებლივ. პროექტის მართვის სამსახურში, სამინისტროში უნდა დაინიშნოს საჩივრების მიღებასა და განხილვაზე პასუხისმგებელი პირი, ისევე როგორც მგფ-ში. საკონტაქტო პირების შესახებ ინფორმაცია უნდა განთავსდეს გამოსაჩენ ადგილას საპროექტო ტერიტორიაზე და ყველა საჩივარი უნდა დაფიქსირდეს და გადაწყდეს ორი კვირის ვადაში. საჩივრების აღრიცხვის ჟურნალი უნდა იწარმოებოდეს ორივე უწყებაში.

საჩივრების გადაწყვეტის პროცესი ორი ეტაპისგან შედგება. ესენია:

ეტაპი # 1 – ზემოქმედების ქვეშ მყოფი პირის მიერ წერილობით ან ზეპირად გამოთქმული საჩივრის არაფორმალური (ზეპირი) განხილვა. ამ ეტაპზე ზემოქმედების ქვეშ მყოფი პირის საჩივარი უნდა განიხილოს საჩივრების შემსწავლელმა კომისიამ არაფორმალური (ზეპირი დისკუსიის) გზით და კომისიის ორივე დონის წევრებმა (კომისიის შემადგენლობა აღწერილია ამ თავში) უნდა შეადგინონ და ხელი მოაწერონ შეხვედრის ოქმს. თუ პირველ ეტაპზე ზემოქმედების ქვეშ მყოფი პირის საჩივარი ვერ გადაწყდა, მას უნდა ეცნობოს საჩივრების გადაწყვეტის მეორე ეტაპის პროცედურების შესახებ. ზემოქმედების ქვეშ მყოფ პირს უფლება აქვს პირველი ეტაპის პროცედურების გვერდის ავლით პირდაპირ მეორე ეტაპის პროცედურები გამოიყენოს.

ეტაპი # 2 – ზემოქმედების ქვეშ მყოფი პირის საჩივრის განხილვა. პროექტის განხორციელების მთელი პერიოდის მანძილზე საჩივრების შემსწავლელი კომისია ვალდებულია განიხილოს პროექტის ზემოქმედების ქვეშ მყოფი პირების წერილობითი საჩივრები, რომელთა დაკმაყოფილება ვერ მოხერხდა პირველ ეტაპზე. მეორე ეტაპზე ზემოქმედების ქვეშ მყოფი პირის მიერ გასაჩივრებული საკითხი აუცილებლად უნდა გადაწყდეს და საჩივრების შემსწავლელი კომისია ვალდებულია მიიღოს გადაწყვეტილება საქართველოს ადმინისტრაციული კოდექსის შესაბამისად.

საჩივრების განხილვის პირველ ეტაპის პროცედურები დავის გადაწყვეტის არაფორმალურ ინსტრუმენტს წარმოადგენს. ამ გზით პროექტის ზემოქმედების ქვეშ მყოფ პირებს და პროექტის განმახორციელებელ გუნდს საშუალება ეძლევათ მათ შორის არსებული დავები ფორმალური პროცედურების, დროის გაჭიანურების და დაბრკოლებების გარეშე გადაწყვიტონ. განსახლების საერთაშორისო გამოცდილება გვიჩვენებს, რომ საჩივრების განხილვის ასეთი არაფორმალური მექანიზმი გვეხმარება, რომ საჩივრების უმეტესობა ფორმალური პროცედურების (ე.ი. ადმინისტრაციული კოდექსით ან კანონმდებლობით განსაზღვრული პროცედურების) გარეშე გადაწყდეს. ეს მექანიზმი პროექტის დაუბრკოლებლად განხორციელების და საჩივრების დროულად გადაწყვეტის საშუალებას იძლევა. თუ მიღებული გადაწყვეტილება ზემოქმედების ქვეშ მყოფ პირს არ აკმაყოფილებს, საჩივრების განხილვის მექანიზმი მას ოფიციალური საჩივრის შემოტანაში უნდა დაეხმაროს, მეორე სტადიის პროცედურების შესაბამისად (მოსარჩელეს უნდა მიეწოდოს ინფორმაცია მისი უფლებებისა და ვალდებულებების, გასაჩივრების წესებისა და პროცედურების, საჩივრის ფორმის, საჩივრის ჩაბარების პირობების შესახებ და ა.შ.).

საჩივრების განხილვის მექანიზმის მეშვეობით განხილული უნდა იყოს როგორც მიწის და სხვა აქტივების შეძენასთან დაკავშირებული საკითხები (მაგ.: კომპენსაციის ოდენობა, დარჩენილი მიწის ნაკვეთის გამოყენების შესაძლებლობები, მისასვლელი გზების დაკარგვა და ა.შ.), აგრეთვე სამშენებლო სამუშაოებით გამოწვეულ ზიანთან და ზარალთან დაკავშირებული საკითხები (მაგ.: კონტრაქტორის მიერ მიწის დროებითი ან მუდმივი დაკავება). ეს იმას ნიშნავს, რომ როდესაც პროექტის შემსრულებელი უწყებები პროექტის ზემოქმედების ქვეშ მყოფ პირებთან მოლაპარაკებებს დაიწყებენ, საჩივრების განხილვის მექანიზმი უკვე ჩამოყალიბებული უნდა იყოს და მშენებლობის დასრულებამდე იმუშაოს.

საშუალო სკოლების რეაბილიტაციის შემთხვევაში საჩივრების შემსწავლელ კომისიაში მონაწილეობას მიიღებს განათლების სამინისტროს წარმომადგენელი.

საჩივრების შემსწავლელი კომისია პირველ ეტაპზე საჩივრების განხილვის არაფორმალურ მექანიზმს წარმოადგენს. ეს არაფორმალური ორგანო თემის დონეზე, ადგილობრივ გამგეობაში (სოფლის / თემის მმართველ ორგანოში) იმუშავებს. ამასთანავე, საჩივრების შემსწავლელ კომისიაში შეიძლება შევიდნენ პროექტის ზემოქმედების ქვეშ მყოფი პირების წარმომადგენლები და პროექტის ზემოქმედების ქვეშ მყოფი ქალები. თუ მომჩივანი პირები კმაყოფილნი არ იქნებიან საჩივრების შემსწავლელი კომისიის გადაწყვეტილებით, მათ შეუძლიათ გამოიყენონ საჩივრების გადაწყვეტის მეორე ეტაპის პროცედურები.

## 12. ანგარიშგება

სავალდებულოა ქვეპროექტების ეკოლოგიური და სოციალური კონტროლის შედეგების დოკუმენტირება. ყოველთვიური მონიტორინგის ანგარიშები სავალდებულო საკონტროლო ნუსხის შევსების საშუალებით მზადდება (ეკოლოგიური და სოციალური მართვის ჩარჩო დოკუმენტის **დანართი 5**), რომელიც ასახავს

ეკოლოგიური და სოციალური მართვის გეგმებში გაწერილი თითოეული შემარბილებელი ზომის მიღების ხარისხს და დონეს. საკონტროლო ნუსხაში მოცემულ ინფორმაცია დათარიღებულია და თან ერთვის ადგილზე გადაღებული ფოტო მასალა.

მსოფლიო ბანკისთვის წარდგენილი პროექტის განხორციელების კვარტალური ანგარიშების ეკოლოგიის შესახებ თავებში უფრო დეტალური ანალიტიკური ინფორმაციაა მოცემული პროექტის ეკოლოგიური მაჩვენებლების შესახებ, მათ შორის ანგარიშების პერიოდში დაფიქსირებული ეკოლოგიური და სოციალური მართვის გეგმებიდან გადახვევების/დარღვევების მიმოხილვა, სამუშაოების მომწოდებლებისთვის მიცემული ინსტრუქციები ნაკლოვანებების ან დაფიქსირებული პრობლემების აღმოფხვრაზე, და გამოვლენილ მნიშვნელოვან საკითხებზე რეაგირების ღონისძიებები.

პროექტის განხორციელების კვარტალური ანგარიშის თავები სოციალური ზემოქმედების შესახებ მოიცავს იმ მიზეზების მოკლე აღწერას, რომლებმაც გამოიწვია/ არ გამოიწვია განსახლების პოლიტიკის ჩარჩოს გამოყენება, და ასევე სოციალური უსაფრთხოების სხვადასხვა დებულებების გამოყენების მხრივ არსებულ მდგომარეობას; კონსულტაციების მოკლე მიმოხილვას, ზემოქმედების ქვეშ მყოფი პირების კომპენსაციის და შემოსავლის წყაროების აღდგენის ღონისძიებების მხრივ არსებულ მდგომარეობას, ასევე განსახლების სამოქმედო გეგმების განხორციელებაში არსებულ გამოწვევებს. აღნიშნული თავი ასევე მოიცავს იმ პროექტების ნუსხას, რომლისთვისაც საჭიროა გახდება განსახლების პოლიტიკის ჩარჩოს გამოყენება მომდევნო კვარტალში.

ანგარიშების ვადების მიუხედავად, სავალდებულოა მსოფლიო ბანკისთვის ინფორმაციის დაუყოვნებლივ მიწოდება იმ ინციდენტებზე, გადაუდებელ სიტუაციებსა თუ გაუთვალისწინებელ საკითხებზე, რომლებმაც შეიძლება მუშაობის პროცესში იჩინონ თავი და პირდაპირი გავლენა იქონიონ გარემოზე, ფიზიკურ კუთლტურულ რესურსებზე, სამუშაოების პროვაიდერების პერსონალზე ან პროექტის მახლობლად მცხოვრებ თემებზე. პროექტის განხორციელებისას დაფიქსირებული გაუთვალისწინებელი უარყოფითი სოციალური ზემოქმედებაც აუცილებლად ეცნობება ბანკს. მგფ-ს კონსულტანტები და თანამშრომლები პასუხს აგებენ ასეთი უარყოფითი ზემოქმედების მონიტორინგზე კონტროლის მიზნით განხორციელებული ვიზიტების დროს.

დანართი 1. ეკოლოგიური სკრინინგი და ქვეპროექტების კლასიფიკაცია

(A) ზემოქმედების იდენტიფიკაცია

რამდენად რეალურად ზემოქმედებს ქვეპროექტი გარემოზე?	
რა მნიშვნელოვანი დადებითი და უარყოფითი ეკოლოგიური გავლენა აქვს ქვეპროექტს?	
შეიძლება ქვეპროექტმა მნიშვნელოვანი გავლენა იქონიოს ადგილობრივ თემებზე და ზემოქმედების ქვეშ მყოფ სხვა პირებზე?	

(B) შემარბილებელი ზომები

იყო თუ არა განხილული ქვეპროექტის განხორციელების გეგმების ალტერნატიული ვარიანტები?	
რა სახის შემარბილებელი ზომები იქნა შემოთავაზებული?	
წინა მსგავსი ქვეპროექტებიდან რა სახის გამოცდილება იქნა გამოყენებული ამ პროექტის განხორციელების გეგმაში?	
მიიღეს თუ არა მონაწილეობა ზემოქმედების ქვეშ მყოფმა თემებმა და როგორ იქნა გათვალისწინებული მათი ინტერესები და ცოდნა ქვეპროექტის მომზადებაში?	

(D) კატეგორიებად დაყოფა და დასკვნა ეკოლოგიური სკრინინგის დასკვნა:

1. ქვეპროექტი უარყოფილია
2. ქვეპროექტი მიღებულია

ქვეპროექტის მომზადება მოიცავს:

1. ეკოლოგიური მართვის საკონტროლო ნუსხის შევსებას



მცირე სამშენებლო და სარეაბილიტაციო საქმიანობისთვის

2. ეკოლოგიურ მიმოხილვას, ეკოლოგიური მართვის გეგმის შემუშავების ჩათვლით

**დანართი 2. ქვეპროექტების სოციალური და კულტურული რესურსების  
სკრინინგი**

<b>ინფორმაცია სოციალური დაცვის სკრინინგის შესახებ</b>		<b>დიახ</b>	<b>არა</b>
1	არის თუ არა ინფორმაცია ქვეპროექტის ობიექტის მიწის ნაკვეთის კუთვნილებაზე, მფლობელობაზე და მისი გამოყენების სტატუსზე ხელმისაწვდომი და შემოწმებადი? (სკრინინგი ვერ განხორციელდება ამ ინფორმაციის მიღებამდე)		
2	შეზღუდავს თუ არა ქვეპროექტი სხვა ადამიანების წვდომას მათ ეკონომიკურ რესურსებზე, მაგ.: მიწის ნაკვეთზე, სამოვარზე, წყალზე, საყოფაცხოვრებო მომსახურებაზე, რომელზეც დამოკიდებულნი არიან?		
3	საჭიროა თუ არა პროექტისთვის ფიზიკური პირების ან მათი ოჯახების განსახლება ან მიწის ნაკვეთის შეძენა (სახელმწიფო ან კერძო, დროებით ან მუდმივად) მისი ათვისების მიზნით?		
4	გამოიწვევს თუ არა ქვეპროექტი მოსავლის, ხეხილის ხეების და საყოფაცხოვრებო ინფრასტრუქტურის (მაგ.: დამხმარე ნაგებობები, ღობე, არხი, ბელელი, გარე ტუალეტები და სამზარეულოები) დროებით ან მუდმივ დაკარგვას?		
<p>თუ ზემოთ მოცემულ რომელიმე შეკითხვაზე (გარდა შეკითხვისა 1) გაეცით პასუხი “დიახ”, მაშინ საჭიროა <b>OP/BP 4.12 არანებაყოფლობითი განსახლება</b> და შემარბილებელი ზომების გატარება OP/BP 4.12-ის და განსახლების პოლიტიკის <b>ჩარჩოს</b> შესაბამისად</p>			
<b>ინფორმაცია კულტურული რესურსების დაცვის სკრინინგის შესახებ</b>		<b>დიახ</b>	<b>არა</b>
5	იქნება თუ არა საჭირო პროექტისთვის გათხრების წარმოება ისტორიული, არქეოლოგიური ან კულტურული მემკვიდრეობის ობიექტთან ახლოს?		
<p>თუ მე-5 შეკითხვაზე პასუხი არის “დიახ”, მაშინ ქვეპროექტი რეგულირდება დოკუმენტით <b>OP/BP 4.11 ფიზიკური კულტურული რესურსები</b> და შესაძლო შემთხვევით აღმოჩენისთვის სრულდება OP/BP და <b>ეკოლოგიური და სოციალური მართვის ჩარჩო</b> დოკუმენტის შესაბამისი პროცედურები</p>			

### დანართი 3. ეკოლოგიური და სოციალური მართვის საკონტროლო ნუსხა მცირე სამშენებლო და სარეაბილიტაციო აქტივობებისთვის

ეკოლოგიური და სოციალური მართვის საკონტროლო ნუსხის გამოყენების ზოგადი სახელმძღვანელო მითითებები:

დაბალი რისკის დონის მქონე ტოპოლოგიებისთვის, მაგ.: სკოლის და საავადმყოფოს სარეაბილიტაციო სამუშაოებისთვის, მსოფლიო ბანკის უსაფრთხოების გუნდმა შეიმუშავა ეკოლოგიური და სოციალური მართვის გეგმის ალტერნატიული ფორმატი მცირე სარეაბილიტაციო ან მცირე მასშტაბიანი მშენებლობებისთვის ჯანდაცვის, განათლების და საზოგადოებრივი მომსახურების სფეროებში. კერძოდ, გუნდმა შეიმუშავა საკონტროლო ნუსხის ტიპის ფორმატი „მოწინავე გამოცდილების მაგალითის“ უზრუნველსაყოფად. ეს არის მომხმარებლისთვის ადვილად გამოსაყენებელი და უსაფრთხოების მოთხოვნების შესაბამისი ფორმატი.

ეკოლოგიური მართვის გეგმის საკონტროლო ნუსხის ფორმატის მიზანია მცირე და ადგილობრივი ზემოქმედების მქონე სამშენებლო სამუშაოების მიმართ ძირითადი ტიპური შემარბილებელი მიდგომები გამოიყენოს. მიიჩნევა, რომ ეს ფორმატი უზრუნველყოფს ეკოლოგიური და სოციალური მართვის გეგმის ან ეკოლოგიური და სოციალური მართვის ჩარჩო დოკუმენტის მთავარ ელემენტებს OP 4.01-ის შესაბამისად, მსოფლიო ბანკის ეკოლოგიური შეფასების მოთხოვნების დაკმაყოფილების მიზნით. აღნიშნული საკონტროლო ნუსხის მიზანია სახელმძღვანელო მითითებების სახით იქნას გამოყენებული მცირე სამშენებლო სამუშაოების შემსრულებლების (კონტრაქტორების) მიერ და მისი სატენდერო დოკუმენტების განუყოფელი ნაწილი შეადგინოს ბანკის მიერ დაფინანსებული პროექტის ფარგლებში.

საკონტროლო ნუსხა სამი ნაწილისგან შედგება:

ნაწილი 1 მოიცავს აღწერით ნაწილს, რომელიც განსაზღვრავს პროექტის მახასიათებლებს ინსტიტუციურ და საკანონმდებლო ასპექტებთან მიმართებაში, პროექტის ტექნიკურ შემადგენლობას, შესაძლებლობების განვითარების პროგრამის პოტენციურ საჭიროებას და საჯარო განხილვის პროცესის აღწერას. ეს განყოფილება შეიძლება ორი გვერდის მოცულობის იყოს. საჭიროების შემთხვევაში შესაძლებელია დანართების დართვა დამატებითი ინფორმაციის უზრუნველსაყოფად.

ნაწილი 2 მოიცავს ეკოლოგიური და სოციალური სკრინინგის საკონტროლო ნუსხას, სადაც აქტივობები და პოტენციური ეკოლოგიური პრობლემები შეიძლება შემოწმდეს მარტივი დიახ/არა

ფორმატით. თუ რომელიმე მოცემულ აქტივობაზე/პრობლემაზე მოინიშნება პასუხი “დიახ”, ხდება გადამისამართება შესაბამის განყოფილებაში შემდეგ ცხრილში, რომელიც შეიცავს მკაფიოდ ჩამოყალიბებულ მართვის და შემარბილებელ ზომებს.

ნაწილი 3 წარმოადგენს მონიტორინგის გეგმას მშენებლობის და პროექტის განხორციელების დროს. მას იგივე ფორმატი აქვს, რაც ეკოლოგიურ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების მართვის გეგმებს B კატეგორიის ქვეპროექტებისთვის, ბანკის სტანდარტული მოთხოვნების შესაბამისად. საკონტროლო ნუსხის მიზანია, მე- 2 და მე- 3 ნაწილი შევიდეს კონტრაქტორის სატენდერო დოკუმენტებში, განისაზღვროს მათი ღირებულება ტენდერის დროს და განხორციელდეს სამუშაოების სათანადოდ შესრულებაზე ზედამხედველობა.

## სარჩევი

- A) ზოგადი ინფორმაცია პროექტისა და ობიექტის შესახებ
- B) ინფორმაცია უსაფრთხოების ზომების შესახებ
- C) შემარბილებელი ზომები
- D) მონიტორინგის გეგმა

**ნაწილი A: ზოგადი ინფორმაცია პროექტებისა და ობიექტის შესახებ**

<b>ინსტიტუციური და ადმინისტრაციული</b>			
ქვეყანა			
პროექტის სახელი			
ქვეპროექტის სახელი			
კონკრეტული ობიექტის საქმიანობის სფერო			
ინსტიტუციური ღონისძიებები (მსოფლიო ბანკი)	ამოცანის შემსრულებელი გუნდის ლიდერი: (ჩასვით)	გარემოს დაცვის სპეციალისტები: (ჩასვით)	
განხორციელების ღონისძიებები (მსესხებელი)	განმახორციელებელი უწყება: (ჩასვით)	სამუშაოების ზედამხედველი: (გადასაწყვეტია)	კონტრაქტორი: (გადასაწყვეტია)
<b>ობიექტის აღწერა</b>			
დაწესებულების დასახელება, რომლის შენობის რეაბილიტაციაც იგეგმება			
დაწესებულების მისამართი და მდებარეობა, რომლის კუთვნილი შენობის რეაბილიტაციაც ტარდება			
ვინ ფლობს მიწას? ვინ იყენებს მიწას (ფორმალურად / არაფორმალურად)?			
ფიზიკური და ბუნებრივი გარემოს აღწერა და ობიექტის გარშემო არსებული სოციალური და ეკონომიკური კონტექსტი			
მასალების, კერძოდ აგრეგატების, წყლის, ქვების (ქვიშა-ხრეში) მოწოდების წყარომდე მანძილი, და მათი ადგილმდებარეობა			
<b>კანონმდებლობა</b>			

ეროვნული და ადგილობრივი კანონმდებლობა და პროექტის განსახორციელებლად საჭირო ნებართვები	
<b>საჯარო განხილვა</b>	
როდის / სად ჩატარდება/ჩატარდა საჯარო განხილვა	
<b>დანართები</b>	
<p>დანართი 1: ობიექტის გეგმა / ფოტო</p> <p>დანართი 2: მშენებლობის ნებართვა (საჭიროების შესაბამისად)</p> <p>დანართი 3: ხელშეკრულება სამშენებლო ნაგვის გადაყრის შესახებ</p> <p>სხვა ნებართვები/ხელშეკრულებები – საჭიროებისამებრ</p>	

**ნაწილი B: ინფორმაცია უსაფრთხოების შესახებ**

ეკოლოგიური /სოციალური სკრინინგი			
	საქმიანობა/პრობლემა	სტატუსი	გამოწვეული ქმედებები
შედის თუ არა/შემოიცავს თუ არა ობიექტზე შესასრულებელი სამუშაოები რომელიმე ჩამოთვლილ ქმედებას?	1. შენობის რეაბილიტაცია	[ ] დიახ [ ] არა	იხ. ქვემოთ ნაწილი <b>A</b>
	2. ახალი მშენებლობა	[ ] დიახ [ ] არა	იხ. ქვემოთ ნაწილი <b>A</b>
	3. ჩამდინარე წყლების გამწმენდი ინდივიდუალური სისტემა	[ ] დიახ [ ] არა	იხ. ქვემოთ ნაწილი <b>B</b>
	4. ისტორიული შენობა (შენობები) და რაიონები	[ ] დიახ [ ] არა	იხ. ქვემოთ ნაწილი <b>C</b>
	5. მიწის ნაკვეთის შესყიდვა <sup>1</sup>	[ ] დიახ [ ] არა	იხ. ქვემოთ ნაწილი <b>D</b>
	6. საშიში ტოქსიკური მასალები <sup>2</sup>	[ ] დიახ [ ] არა	იხ. ქვემოთ ნაწილი <b>E</b>
	7. ტრანსპორტის მოძრაობის და ფეხით მოსიარულეთა უსაფრთხოება	[ ] დიახ [ ] არა	იხ. ქვემოთ ნაწილი <b>F</b>
	8. სოციალური რისკების მართვა	[ ] დიახ [ ] არა	იხ. ქვემოთ ნაწილი <b>G</b>

<sup>1</sup> მიწის შესყიდვა მოიცავს ადამიანთა გადასახლებას, საცხოვრებელი პირობების შეცვლას, კერძო საკუთრებაში არსებული ქონების შელახვას -ეს ეხება მიწებს, რომელიც შეძენილი/გადაცემულია და ამ ქმედებას გააჩნია ზემოქმედება იმ ადამიანებზე,რომლებიც ცხოვრობენ ან/და სახლობენ ან/და აწარმოებენ ბიზნესს (სავაჭრო ერთეულებს) შეძენილ მიწაზე.

<sup>2</sup> ტოქსიკური / საშიში მასალები მოიცავს, მაგრამ არ შემოიფარგლება შემდეგით: აზბესტი, ტოქსიკური საღებავები, მავნე გამხსნელები, ტყვიის საღებავის მოცილება და ა.შ.



**ნაწილი C: შემარბილებელი ზომები**

საქმიანობა	პარამეტრი	შემარბილებელი ზომების საკონტროლო ნუსხა
<p><b>0.</b> ზოგადი პირობები</p>	<p>შეტყობინება და მუშების უსაფრთხოება</p>	<p>(ა) ადგილობრივი სამშენებლო, ეკოლოგიური ინსპექციების და თემების დაგეგმილი სამუშაოს შესახებ ინფორმირება                      (ბ) საზოგადოების ინფორმირება სამუშაოების შესახებ მედიაში და/ან საზოგადოებისთვის ხელმისაწვდომ ობიექტებზე ინფორმაციის განთავსების საშუალებით (მათ შორის სამუშაო ობიექტზე)                      (გ) მშენებლობისთვის და/ან რეაბილიტაციისთვის იურიდიულად საჭირო ყველა ნებართვის მოპოვება                      (დ) დამჭირავებელთან ოფიციალურად შეთანხმება, რომ ყველა სამუშაო ჩატარდება უსაფრთხოდ და დისციპლინირებულად, ისე, რომ სამშენებლო ობიექტის მახლობლად მაცხოვრებლებზე და გარემოზე ზემოქმედება მინიმუმამდე იქნება დაყვანილი                      (ე) მუშების პერსონალური დამცავი აღჭურვილობის საერთაშორისოდ აღიარებულ ნორმებთან შესაბამისობის უზრუნველყოფა (ჩაფხუტები მუდმივად, ნიღბები და დამცავი სათვალე საჭიროების შესაბამისად, უსაფრთხოების ქამრები და ჩექმები)                      (ვ) სამშენებლო ობიექტზე შესაბამისი აბრების უზრუნველყოფა, ძირითადი წესებისა და რეგულაციების შესახებ მუშების ინფორმირების მიზნით.</p>
<p><b>A.</b> ზოგადი სარეაბილიტაციო და/ან სამშენებლო საქმიანობა</p>	<p>ჰაერის ხარისხი</p>	<p>(ა) ნაგავსადენების გამოყენება ინტერიერის დანგრევის დროს პირველი სართულის ზემოთ                      (ბ) ნანგრევების კონტროლირებად ტერიტორიაზე შენახვის და წყლის ბურუსით მორწყვის უზრუნველყოფა ნანგრევებისგან წარმოშობილი მტვრის აღკვეთის მიზნით                      (გ) პნევმატური ბურღვის/კედლის დემონტაჟის დროს მტვრის ჩახშობა ობიექტის მუდმივად მორწყვის და/ან მტვრისგან დამცავი ეკრანის ზღუდის დამონტაჟების საშუალებით                      (დ) ობიექტის გარშემო ტერიტორიის (ტროტუარები, გზები) ნანგრევებისგან გათავისუფლება მტვრის დონის მინიმალურ დონემდე შემცირების მიზნით                      (ე) არ უნდა იქნეს დაშვებული სამშენებლო ნარჩენების ობიექტზე ღია ცის ქვეშ დაწვა                      (ვ) არ უნდა იქნეს ნებადართული სატრანსპორტო საშუალებების დამანქანა-დანადგარების უქმი სვლა</p>

	ხმაური	(ა) გადაუდებელი აუცილებლობის გარდა სამშენებლო სამუშაოების წარმოება დღის განმავლობაში ხმაურის გამო. ადგილობრივი თემების ინფორმირება სამუშაო გრაფიკის შესახებ, თუ იგი სტანდარტული სამუშაო საათების მიღმა მიმდინარეობს (ბ) ოპერირებისას გენერატორების, ჰაერის კომპრესორებისა და სხვა მექანიკური დანადგარების ძრავის საფარები დახურული უნდა იყოს, ამასთან დანადგარები მაქსიმალურად შორს უნდა განთავსდეს საცხოვრებელი ტერიტორიებიდან
	წყლის ხარისხი	(ა) ეროზიის და სედიმენტის კონტროლის შესაბამისი ზომების მიღება, მაგ.: თივის შეკვრების და/ან ქვიშის ზღუდეების დაყენება, ობიექტის მიღმა დანალექის ჩარეცხვის და ახლო არსებული ნაკადულების და მდინარეების ჭარბი ამღვრეულობის აღსაკვეთად
	წყლის მართვა	(ა) დემონტაჟის და სამშენებლო საქმიანობის შედეგად მოსალოდნელი ძირითადი ნარჩენების ტიპებისთვის ნარჩენების შეგროვების და გადაყრის გზების განსაზღვრა (ბ) მშენებლობისა და დემონტაჟის შედეგად წარმოშობილი მინერალური ნარჩენების, ზოგადი, ორგანული, თხევადი და ქიმიური ნარჩენებიდან გამოყოფა ადგილზე დახარისხებით და შესაბამისი კონტეინერებში შენახვის საშუალებით. (გ) სამშენებლო ნარჩენების შეგროვება და გამოყოფილ ნაგავსაყრელებზე სათანადოდ გადაყრა (დ) შეძლებისდაგვარად, შესაბამისი და გამოსადეგი მასალების ხელახლა გამოყენება და გადამუშავება (აზბესტის გარდა)
B. ჩამდინარე წყლების ინდივიდუალური გამწმენდი ნაგებობა	წყლის ხარისხი	(ა) სანიტარული ნარჩენების და ჩამდინარე წყლების მოპყრობის და გამწმენდი სისტემის პროექტის შესაბამისი ორგანოების მიერ დამტკიცების უზრუნველყოფა (ბ) მიმღებ წყლებში ჩაშვებამდე, ინდივიდუალური გამწმენდი სისტემებით ჩამდინარე წყლების გაწმენდა ჩამდინარე წყლების სახირსხის და მათი გაწმენდის თაობაზე ეროვნულ სახელმძღვანელო მითითებებში მოცემული კრიტერიუმების დაკმაყოფილების მიზნით; (გ) ახლად შექმნილი ჩამდინარე წყლის გამწმენდი სისტემების მონიტორინგის განხორციელება და მონიტორინგის შედეგების შესახებ დამქირავებლის ინფორმირება (გ) სამშენებლო ტრანსპორტის და დანადგარების მხოლოდ სპეციალურად გამოყოფილ ადგილებში გარეცხვა, სადაც ჩამდინარე წყალი არ დააბინძურებს ზედაპირული წყლების ობიექტებს.
C. ისტორიული შენობა (შენობები)	კულტურული მემკვიდრეობა	(ა) თუ შენობა ისტორიული სტრუქტურაა, ძალიან ახლოს არის ასეთ სტრუქტურასთან ან ისტორიულ რაიონში მდებარეობს, სამუშაოები არ უნდა დაიწყოს შეტყობინების მიღებამდე იმის შესახებ, რომ პროექტის განხორციელების გეგმა შეთანხმებულია

		<p>კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროსთან და რომ ყველა სამშენებლო სამუშაო დაგეგმილია და ხორციელდება ადგილობრივი და ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისად.</p> <p>(ბ) პერსონალისთვის შემთხვევით მონაპოვართან მოპყრობის პროცედურების გაცნობა. ყველა სახის ფიზიკური საქმიანობის შეჩერება, თუ არსებობს ეჭვი ან თანამშრომლებისგან მიღებული ინფორმაცია შემთხვევითი აღმოჩენის შესახებ და დამქირავებლისთვის დაუყოვნებლივ წერილობით შეტყობინება. დამქირავებლისგან ოფიციალური შეტყობინების წერილობით მიღებამდე საქმიანობის არ გაგრძელების უზრუნველყოფა.</p>
<b>D.</b> მიწის ნაკვეთის შესყიდვა	მიწის შეძენის გეგმა/ჩარჩო	<p>(ა) თუ მიწის ექსპროპრიაცია გათვალისწინებული არ იყო, მაგრამ საჭირო გახდა ამის განხორციელება, ან თუ არ იყო მოსალოდნელი მიწის იურიდიული ან არა-ლეგალური გამოყენების შედეგად მიღებული შემოსავლების დაკარგვა, მაგრამ მაინც შეიძლება ადგილი ჰქონდეს ამგვარ დანაკარგს, დაუყოვნებლივ უნდა ჩატარდეს კონსულტაციები ბანკის ჯგუფის ხელმძღვანელთან</p> <p>(ბ) არ შეიძლება ქვეპროექტის ობიექტზე შესვლა და ფიზიკური სამუშაოების დაწყება განსახლების პროცესის დასრულების და ზემოქმედების ქვეშ მყოფ პირებზე კომპენსაციების სრულად გაცემის შესახებ ოფიციალური შეტყობინების მიღებამდე</p>
<b>E.</b> ტოქსიკური მასალები	აზბესტის მართვა	<p>(ა) თუ ქვეპროექტის ობიექტზე აზბესტია განლაგებული, მკაფიოდ აღინიშნოს, როგორც საშიში მასალა</p> <p>(ბ) თუ შესაძლებელია, საჭიროა აზბესტის შენახვა დახურულ ადგილას და ჰერმეტიკულად დალუქვა, გარემოში მოხვედრის შესაძლებლობის მინიმალურ დონემდე შესამცირებლად</p> <p>(გ) გატანამდე აზბესტის (თუ გატანა აუცილებელია) დამატენიატებელი აგენტით დამუშავება აზბესტის მტვრის მინიმალურ დონემდე შემცირების მიზნით</p> <p>(დ) აზბესტის დამუშავება და გამოიყენება უნდა მოხდეს შესაბამისი უნარების და გამოცდილების მქონე პრეფესიონალების მიერ</p> <p>(ე) თუ აზბესტის მასალა დროებით ინახება, საჭიროა მისი მოათავსება დახურულ კონტეინერში და შესაბამისი აღნიშვნის გაკეთება, ასევე უსაფთხოების ზომების მიღება ობიექტიდან მისი ნებართვის გარეშე გატანის აღსაკვეთად</p> <p>(ვ) გატანილი აზბესტი არ უნდა იქნეს გამოყენებული ხელახლა</p>
	ტოქსიკური / საშიში ნარჩენების მართვა	<p>(ა) დროებით ყველა საშიში ან ტოქსიკური ნივთიერების ობიექტზე შენახვა, დაცულ კონტეინერებში, შესაბამისი მარკირებით, სადაც მითითებული იქნება ინფორმაცია შემადგენლობის, თვისებების და ნივთიერებასთან მოპყრობის შესახებ</p>

		<p>(ბ) საშიში კონტეინერების გერმეტულად დახურულ კონტეინერებში მოთავსება გაჟონვის და გამოტუტვის თავიდან ასაცილებლად</p> <p>(გ) ნარჩენების ოფიციალურ ნაგავსაყრელამდე ტრანსპორტირება და ჭარბი ნათხარი მასალის განთავსება ადგილობრივ ხელისუფლებასთან შეთანხმებულ ობიექტებზე</p> <p>(დ) არ უნდა იქნეს გამოყენებული ტოქსიკური ინგრედიენტების ან გამხსნელების, ტყვიის შემცველი საღებავები</p>
<p><b>F.</b> სატრანსპორტო საშუალებებისა და ფეხით მოსიარულეთა უსაფრთხოება</p>	<p>სამშენებლო საქმიანობის სახიფათო პიდაპირი ან არაპირდაპირი ზემოქმედება საზოგადოებრივ ტრანსპორტზე და ფეხით მოსიარულეებზე</p>	<p>(ა) განთავსებული უნდა იქნეს მოძრაობის გამაფრთხილებელი ნიშნები, ბარიერები და ტრანსპორტის მარშრუტის ცვლილების ნიშნები. საზოგადოება გაფრთხილებული უნდა იყოს ყველა შესაძლო საშიშროების შესახებ</p> <p>(ბ) უნდა ჩამოყალიბდეს მოძრაობის მართვის სისტემა და ჩატარდეს თანამშრომელთა ტრენინგი, განსაკუთრებით ტერიტორიაზე შესვლასა და ტერიტორიის მახლობლად მძიმე ტექნიკის გადაადგილების შესახებ. ფეხით მოსიარულეთათვის უნდა მოეწყოს უსაფრთხო გადასასვლელები იმ ადგილებში, სადაც მოძრაობს სამშენებლო ტექნიკა</p> <p>(გ) სამუშაო საათები შესაბამისობაში უნდა იქნეს მოყვანილი ადგილობრივი ტრანსპორტის მოძრაობის განრიგთან, მაგ: ინტენსიური გადაზიდვები არ უნდა განხორციელდეს საზოგადოებრივი ტრანსპორტის ინტენსიური მოძრაობის პერიოდში ან პირუტყვის გადაადგილების საათებში;</p> <p>(დ) საჭიროების შემთხვევაში ტრანსპორტის მოძრაობის აქტიური მართვა, საზოგადოებისთვის უსაფრთხო და მოხერხებული გადაადგილების უზრუნველსაყოფად</p> <p>(ე) სარემონტო სამუშაოების დროს მუდმივად უზრუნველყოფილი უნდა იქნეს უსაფრთხო მისასვლელები ოფისების შენობებთან, მაღაზიებთან, საცხოვრებელ სახლებთან, თუ შენობები ღიაა საზოგადოებისთვის</p>
<p><b>G.</b> სოციალური რისკის მართვა</p>	<p>საზოგადოებასთან ურთიერთობის მართვა</p>	<p><b>(ა)</b></p> <p>(ა) სკოლის და სწავლის პროცესის გაგრძელებასთან დაკავშირებული ღონისძიებების უზრუნველყოფა (მაგ. სტუდენტებისთვის დროებითი საცხოვრებელი, სატრანსპორტო და ა.შ.)</p> <p>(ბ) კონტრაქტორის გუნდში ადგილობრივ მოსახლეობასთან კომუნიკაციაზე, მათგან მოთხოვნების/პრეტენზიების მიღებაზე პასუხისმგებელი პირის დანიშვნა</p> <p>(გ) ადგილობრივ მოსახლეობასთან კონსულტაცია, გარე მუშახელსა და ადგილობრივ მოსახლეობას შორის პოტენციური კონფლიქტის იდენტიფიკაციისა და პროაქტიურად მართვის მიზნით</p>

		<p>(დ) ადგილობრივი მოსახლეობის ცნობიერების ამაღლება გარე სამუშაო ძალის ყოფნასთან დაკავშირებული სექსუალურად გადამდები დაავადებების შესახებ და ადგილობრივი თემების ჩართვა ცნობიერების ამაღლების კამპანიაში</p> <p>(ე) საზოგადოების ინფორმაცია მშენებლობის და სამუშაოების განრიგის შესახებ, სერვისების შეწყვეტაზე, ალტერნატიული მარშრუტების და ავტობუსების დროებითი მარშრუტების შესახებ, ასაფეთქებელ სამუშაოებზე და დემონტაჟზე, საჭიროების შესაბამისად</p> <p>(ვ) სამშენებლო სამუშაოების დამით შეზღუდვა. საჭიროების შემთხვევაში, დამის სამუშაოების განრიგის ყურადღებით შედგენა და საზოგადოების ინფორმირება, იმისათვის, რომ საჭირო ზომები მიიღონ</p> <p>(ზ) ნებისმიერი კომუნალური მომსახურების შეწყვეტამდე (მათ შორის წყლის, ელექტროენერჯის, სატელეფონო მომსახურების, ავტობუსების მარშრუტების) მინიმუმ ხუთი დღით ადრე, ამის შესახებ მოსახლეობის ინფორმირება, ინფორმაციის სამუშაო ობიექტზე, ავტობუსების გაჩერებებზე, ზემოქმედების ქვეშ მყოფ სახლებში/საწარმოებში განთავსებით</p> <p>(თ) დამქირავებლის მიერ საჩივრების განხილვის მექანიზმის საშუალებით წარდგენილი საჩივრების განხილვა განსაზღვრულ ვადაში, სამუშაოების შემსრულებლის (კონტრაქტორის) პასუხისმგებლობის ფარგლებში</p> <p>(ი) შეძლებისდაგვარად, სამუშაო ბანაკები არ უნდა იყოს განლაგებული ადგილობრივ თემებთან ახლოს</p> <p>(ი) სამუშაო ბანაკების განთავსება და ოპერირება ხდება ადგილობრივ თემებთან კონსულტაციების შედეგად</p>
	<p>სამუშაო ძალის მართვა</p>	<p>(ა) არაკვალიფიციური და ნახევრაკვალიფიციური მუშახელის შეძლებისდაგვარად ადგილობრივი თემებიდან დაქირავება. შესაძლებლობის შემთხვევაში მუშახელისთვის ტრენინგების უზრუნველყოფა, ადგილობრივი მოსახლეობის ჩართულობის დონის გასაზრდელად.</p> <p>(ბ) სამუშაო ობიექტზე ადეკვატური საპირფარეშოს უზრუნველყოფა (ტუალეტები და დასაბანი ადგილები) ცხელი და ცივი გამდინარე წყლით, საპნით და ხელსაშრობი მოწყობილობით. ნებისმიერი სამუშაო-საცხოვრებელი ბანაკისთვის საჭიროა დროებით სეპტიკური ავზების უზრუნველყოფა, ახლო მდებარე მდინარეების, არხების, კალაპოტების დაბინძურების თავიდან აცილების მიზნით</p> <p>(გ) მუშახელის ცნობიერების ამაღლება ადგილობრივ მოსახლეობასთან ზოგადი</p>

		ურთიერთობების მართვასთან დაკავშირებით, საერთაშორისო პრაქტიკის შესაბამისად ქცევის კოდექსის დაწესება და შესრულების მკაცრად უზრუნველყოფა, მათ შორის მუშების გათავისუფლება და ადეკვატური ოდენობის ჯარიმების დაკისრება
--	--	---

**ნაწილი D: მონიტორინგის გეგმა**

აქტივობა	რა (პარამეტრის მონიტორინგის ხდება?)	სად (ხდება პარამეტრის მონიტორინგი?)	როგორ (ხდება პარამეტრის მონიტორინგი?)	როდის (განსაზღვრეთ სიხშირე / თუ განგრძობადობა?)	რატომ (ხდება პარამეტრზე მონიტორინგი?)	ვინ (არის პასუხისმგებელი მონიტორინგზე?)
<b>მშენებლობის ეტაპი</b>						
1.						
2.						
n.						
<b>ოპერირების ეტაპი</b>						
1.						
2.						
n.						

დანართი 4. ადგილზე ეკოლოგიური მონიტორინგის ყოველთვიური საკონტროლო ნუსხა

ობიექტის მდებარეობა					
კონტრაქტორის სახელი					
ზედამხედველის სახელი					
ობიექტზე ვიზიტის თარიღი					
სამშენებლო სამუშაოების სტატუსი					
შესამოწმებელი დოკუმენტების და აქტივობები	სტატუსი				კომენტარი
	დიახ	ნაწილობრივ	არა	არ ეხება	
კონტრაქტორს აქვს ბუნებრივი რესურსების მოპოვების ლიცენზია					
კონტრაქტორს აქვს ბეტონის / ასფალტის ქარხნის ოპერირების ნებართვა					
კონტრაქტორს შესაბამის უწყებებთან შეთანხმებული აქვს ნარჩენების საბოლოო განთავსების საკითხი					
კონტრაქტორს გაფორმებული აქვს ხელშეკრულება შესაბამის სამსახურთან, რომელიც უზრუნველფს ობიექტის ტერიტორიიდან საყოფაცხოვრებო ნარჩენების საბოლოო გატანას და განთავსებას					
სამუშაო მოედანი შემოღობილია და განთავსებულია შესაბამისი გამაფრთხილებელი ნიშნები					
სამუშაოები არ აფერხებს ფეხით მოსიარულებთა და ავტო ტრანსპორტის თავისუფალ გადაადგილებას, ან უზრუნველყოფილია დროებითი მისასვლელი გზები					
ხდება სამუშაო საათების დაცვა					
სამშენებლო ტექნიკა და დანადგარები სტანდარტულ					



გამართულ ტექნიკურ მდგომარეობაშია (არ აქვს ადგილი ჭარბ გამონაბოლქვს და ხმაურს, საწვავისა და საპოხი მასალების გაჟონვას)					
სამშენებლო მასალებისა და ნარჩენების ტრანსპორტირება ხდება დახურულ ძარიანი ტრანსპორტით					
სამშენებლო მოედანი ირწყვება/ინამება ისეთი სამუშაოების წარმოებისას, რომელსაც თან ახლავს ჭარბი რაოდენობით მტვრის წარმოქმნა					
კონტრაქტორის სამშენებლო ბანაკი ან სამშენებლო ბაზა შემოღობილია; გამოყოფილია ადგილები ნარჩენების დროებით შესანახად და ტრანსპორტის/ ტექნიკის მომსახურებისთვის					
კონტრაქტორის ბანაკს მიეწოდება წყალი და უზრუნველყოფილია სანიტარული პირობებით					
კონტრაქტორის ბანაკი ან სამუშაო მოედანი უზრუნველყოფილია პირველადი სამედიცინო დახმარებისა და ხანძარსაწინააღმდეგო კომპლექტებით					
მუშებს აცვიათ ფორმები და აღჭურვილი არიან პირადი დამცავი საშუალებებით, რომლებიც მიმდინარე ტექნოლოგიურ პროცესებს შეესაბამება (ხელთათმანები, ჩაფხუტები, აირწინაღები, სათვალეები და ა.შ.)					
ტრანსპორტისა და ტექნიკის მომსახურება და საწვავით შევსება ხორციელდება დახურულ ადგილას, რომლის ქვედა ზედაპირზე მოწყობილია გაუმტარი ფენა და სადაც შესაძლებელი იქნება ოპერირების ან ავარიის შემთხვევაში დაღვრილი სითხეების შეკავება					

ტრანსპორტისა და ტექნიკის გარეცხვა ხდება ბუნებრივი ზედაპირული წყლის ობიექტებიდან მოშორებით, ისე, რომ მოხმარებული წყლის ნაკადი პირდაპირ არ ჩაედინება ბუნებრივ წყალსატევებში					
სამშენებლო ნარჩენების გატანა და განთავსება ხდება სპეციალურად ამ მიზნისთვის გამოყოფილ ადგილებში					
ბუნებრივი სამშენებლო მასალების მოპოვება ხდება ლიცენზიაში მითითებული პირობების დაცვით					
ჭარბი მასალები და ნიადაგის ზედა ნაყოფიერი ფენა, რომელიც წარმოიქმენა მიწის სამუშაოებისას ინახება განცალკევებულად და გამოიყენება საჭიროების მიხედვით უკუჩაყრისთვის / სამშენებლო მოედნის ადდგენითი სამუშაოებისთვის					
შემთხვევითი აღმოჩენების შემთხვევაში სამუშაოების ხდება სამუშაოების შეჩერება და შესაბამისი ინფორმაციის მიწოდება კულტურული მემკვიდრეობის დაცვაზე პასუხისმგებელი სახელმწიფო სამსახურებსთვის					
ობიექტზე ფიზიკური სამუშაოების დასრულების შემდეგ სამშენებლო მოედანი და კონტრაქტორის ბანაკი დასუფთავებულია სამუშაოების შედეგად წარმოქმნილი ყველა ნარჩენისგან და ჰარმონიზებულია გარემომცველ ლანდშაფტთან					

დანართი 5. ეკოლოგიური და სოციალური მართვის ჩარჩო დოკუმენტზე და განსახლების პოლიტიკის ჩარჩო დოკუმენტზე საჯარო განხილვების ოქმი